



კავკასიის კვლევითი
რესურსების ცენტრი



გენდერული თანასწორობა საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სატელევიზიო გაშუქებაში

სატელევიზიო არხების მედიამონიტორინგის ანგარიში

ანგარიში მომზადებულია კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით, გაეროს ერთობლივი პროექტის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება, არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის მოსაზრებებს.

15 ნოემბერი, 2017წ.

შესავალი

2017 წლის 11 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე CRRC-საქართველო, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით, გენდერული თანასწორობისთვის გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, ჩაატარა რვა სატელევიზიო არხის მონიტორინგი გენდერული თანასწორობის კუთხით. მონიტორინგი მოიცავს სატელევიზიო არხების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს და პრაიმტაიმის (18:00-დან 00:00-საათამდე) დროს გასულ პოლიტიკურ თოქშოუებს ხუთ ეროვნულ და სამ რეგიონულ არხზე. ეს ეროვნული არხებია: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, აჭარა, რუსთავი 2, იმედი და მაესტრო. რეგიონული არხებია: თრიალეთი (შიდა ქართლი), გურჯაანი (კახეთი) და ოდიში (სამეგრელო).¹ სატელევიზიო არხების შერჩევა ეყრდნობა საქართველოს სრულწლოვანი ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვას მედია საშუალებების მოხმარების შესახებ, რომელიც CRRC-საქართველომ 2017 წლის მაისში ჩაატარა. მონიტორინგის ეს პროექტი მიზნად ისახავს, დააკვირდეს მედია გარემოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდში. თუმცა, მისი შედეგები და რეკომენდაციები მხოლოდ საარჩევნო თემატიკით არ შემოიფარგლება და როგორც მონიტორინგის სუბიექტებისთვის, ასევე სხვა მედია საშუალებებისთვისაც გასათვალისწინებელია.

მონიტორინგი რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტებისგან შედგება. რაოდენობრივი კომპონენტისთვის პროექტი იყენებს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით მიმდინარე მედია მონიტორინგის პროექტის ფარგლებში შეგროვებულ მონაცემებს.² რაოდენობრივი კომპონენტი აკვირდება ქალი რესპონდენტებისთვის დათმობილ დროს სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, მათ პირდაპირ და ირიბ საუბარს.³ თვისებრივი კომპონენტი ეფუძნება გენდერული საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესებს, რომლებიც საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიამ მედია საშუალებებისთვის შეიმუშავა.⁴ თვისებრივი კომპონენტი აკვირდება თემებს, რომლებზეც ახალი ამბები მზადდება და არის თუ არა გენდერული სეგრეგაცია ამ მხრივ, ანუ არის თუ არა რომელიმე თემა უფრო მეტად ასოცირებული ქალებთან ან კაცებთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გენდერული თანასწორობის საკითხების გაშუქებას და

¹ დაკვირვების ქვეშ მყოფი სატელევიზიო არხებისა და გადაცემების ჩამონათვალი მოცემულია პირველ დანართში.

² გაეროს განვითარების პროგრამის წინასაარჩევნო მედია მონიტორინგის პროექტი საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება.

³ შენიშვნა: გაეროს განვითარების პროგრამის წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მონაცემებს აგროვებს მხოლოდ პოლიტიკურ სუბიექტებზე. ამასთან, იგი არ მოიცავს სატელევიზიო არხს „მაესტრო“. მონიტორინგის სუბიექტების ჩამონათვალი მოცემულია მესამე დანართში.

⁴ გენდერული საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესები ხელმისაწვდომია ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის ვებგვერდზე: <http://qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/34573-genderuli-sakithkhebis-gashuqeba>

ჟურნალისტების/თოქშოუს წამყვანების მხრიდან ისეთი საკითხების წამოწევას, რაც ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას ეხება, განსაკუთრებით კი ამ საკითხის წინასაარჩევნო პერიოდის დღის წესრიგში დაყენებას. მონიტორინგი აკვირდება ისეთი ტერმინების გამოყენებას და ისეთ გაშუქებას, რომელიც აძლიერებს ან ამსხვრევს ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს. ამ ტერმინების/ფრაზების სია შედგენილია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის სახელმძღვანელო წესების მიხედვით და წარმოდგენილია მეორე დანართში.

თოქშოუების მონიტორინგის დროს ხდება დაკვირვება იმაზე, საუბრობენ თუ არა სტუმრები ისეთი ენით, რომ ხაზს უსვამენ ქალის არათანასწორობას მამაკაცთან და როგორია ასეთ შემთხვევებზე წამყვანის რეაქცია.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

11 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ არის **თემები, რომლებიც უმეტესად ქალებთან ან უმეტესად კაცებთან ასოცირდება**. განათლებასთან (სკოლები, ბალები), კულტურასთან, ჯანდაცვასთან, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას უმეტესად ქალი რესპონდენტები გვხვდებიან. სკოლები და ბალები თითქმის ექსკლუზიურად ქალების თემებადაა წარმოდგენილი, რითიც მტკიცდება სტერეოტიპი, რომ ბავშვებზე ზრუნვა ქალის საქმე უფროა, ვიდრე კაცის. სამხედრო თემის, საგარეო პოლიტიკის, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის, სტიქიური უბედურებებისა და სპორტის განხილვისას უმეტესად კაცი რესპონდენტები გვხვდებიან. ზოგი თემის შემთხვევაში (მაგალითად, სამხედრო საქმე) შეიძლება ნაკლები ქალი იყოს ხელმძღვანელ პოზიციებზე და ამ თემასთან კავშირში. თუმცა, ეს ტელევიზიის წარმომადგენლების მხრიდან ძალისხმევას და შესაბამისი სარედაქციო პოლიტიკის საკითხია, რომ ჟურნალისტები ეცადონ ქალი რესპონდენტების პოვნას და მეტი ქალის წარმოჩენას ისეთ პოზიციებზეც კი, რასაც ქართული საზოგადოება მიუჩვეველია და ამით დაამსხვრიონ სტერეოტიპული შეხედულება იმის შესახებ, რომ ქალებს მხოლოდ გარკვეული პროფესიები გამოსდით კარგად. წინააღმდეგ შემთხვევაში მოცემულობა ისეთია, რომ რიგ საკითხებთან მიმართებაში ქალები არ ჩანან და მათი ხმა არ ისმის.

ქალთა გაშუქების სიმცირე რაოდენობრივ მონაცემებშიც კარგად გამოჩნდა. წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგებით, **პოლიტიკური სუბიექტებიდან ქალი რესპონდენტების გაშუქება ძალიან მცირეა და პოლიტიკური და საარჩევნო სუბიექტების მეთაუდსაც კი არ წარმოადგენს**. ამ გაშუქების დიდი ნაწილი ქალების პირდაპირი საუბარია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იშვიათ შემთხვევაში საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ქალი რესპონდენტები ჰყავთ სიუჟეტებში, თუმცა, მათზე კიდევ უფრო იშვიათად საუბრობენ.

პოლიტიკურ თოქშოუებში კაცი და ქალი სტუმრების რაოდენობასაც თუ შევხედავთ, **კაცების რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს ქალი სტუმრების რაოდენობას** და იშვიათი გამონაკლისების გარდა არ ხდება იმაზე აქცენტის გაკეთება ან კითხვის დასმა, თუ რატომ არ იყვნენ ნომინირებული ქალი კანდიდატები.

გენდერული თანასწორობის გაშუქების მონიტორინგის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ისეთი შემთხვევების გამოვლენაა, რომლებიც ამყარებს ან ამსხვრევს ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს. საერთო ჯამში, შემთხვევები, როცა გენდერული სტერეოტიპების გამყარება ხდება აჭარბებს სტერეოტიპების დამამსხვრეველ შემთხვევებს. მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა სტერეოტიპების დამსხვრევის მცდელობის შემთხვევები, მაგალითად, ქალი მძღოლები, რომლებსაც პარკინგის და გადატვირთული მოძრაობის შესახებ ეკითხებიან კაც მძღოლებთან ერთად, კახეთში რთველის გაშუქება, სადაც ქალი რთველის მენეჯერად და კაცის თანასწორადაა წარმოდგენილი, სამხედრო ქალები სირიაში, სამხარეულოში საჭმლის მომზადებით დაკავებული კაცი. თუმცა, ასეთი მაგალითები ბევრი არ არის და ჟურნალისტების მცდელობა, რომ დაამსხვრიონ სტერეოტიპები, ყოველთვის სისრულეში ვერ მოდის. მაგალითად, ერთ-ერთ სიუჟეტში გადატვირთულ მოძრაობასთან დაკავშირებით, ქალ მძღოლს ჰკითხეს საწვავზე გაზრდილი ფასის შესახებ ისევე, როგორც კაც მძღოლებს. თუმცა, ქალს ასევე ჰკითხეს საკვები პროდუქტების ფასებზე, რითიც ხაზი გაუსვეს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ქალის როლს. სიუჟეტებში პროდუქტების ფასის, ხარისხის შესახებ ხშირად მეტ ქალ რესპონდენტს ვხვდებით, ვიდრე კაცს და ესეც აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ქალია პასუხისმგებელი საკვების ყიდვასა და მომზადებაზე. გენდერული სტერეოტიპის გამყარების კიდევ ერთი მაგალითია სიუჟეტი სათამაშოების ხარისხზე, სადაც ნეიტრალურ და ობიექტურ ტექსტს თან ახლდა ბავშვების სათამაშოებით თამაშის კადრები. თუკი ერთ-ერთ პირველ კადრში პატარა გოგო და ბიჭი ერთად თამაშობენ მანქანით ქვიშაში, რაც სტერეოტიპებისგან თავისუფალი ვიზუალიზაციის კარგი მაგალითია, შემდეგ არის კადრი, სადაც გოგო თამაშობს თოჯინით, აჭმევს და აძინებს მას, ძილის წინ უმღერის კიდევ. ბავშვები გენდერული როლების შესახებ პატარაობიდანვე სწავლობენ. შესაბამისად, სათამაშოების სეგრეგაცია ამისი სწავლის ძლიერი ინსტრუმენტია. თოჯინების, სამხარეულოს აქსესუარების და მსგავსი სათამაშოების წარმოდგენა „გოგოს სათამაშოებად“ აძლიერებს არსებულ სტერეოტიპებს, რასაც შემდგომში გავლენა აქვს იმაზე, თუ რა როლში ხედავენ გოგოები და ქალები თავის თავს მომავალში.

სატელევიზიო სივრცეში გამოყენებული ენა ზოგჯერ არ არის გენდერულად ნეიტრალური. სიტყვების/ფრაზების ჩამონათვალი, რაც ამყარებს გენდერულ სტერეოტიპებს მოიცავს ქალების მოხსენიებას „ქალბატონოთი“ არა მათთვის მიმართვის დროს, არამედ მათზე საუბრის დროს. ასევე ქალების აღსანიშნავად ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორცაა „სუსტი სქესის წარმომადგენლები“, „მშვენიერი სქესი“. ამავდროულად კაცების მოხსენიებას „ძლიერ სქესად“. საკითხებისა და პროფესიების დაყოფას „კაცურ“ და „ქალურ“ საქმეებად. ასეთი სიტყვები/ფრაზები აძლიერებს უთანასწორობას ქალებსა და კაცებს შორის. მსგავსი ტერმინების გამოყენება, მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ხშირი არ არის.⁵ თუმცა, ამის მაგალითები არაერთ სატელევიზიო არხზე გვხვდება. მაგალითად, ერთ-ერთ ეროვნულ არხზე გავიდა სიუჟეტი სპეციალური ვარდისფერი ტროლეიბუსების შესახებ თურქეთში, რომელიც მხოლოდ „სუსტი სქესის წარმომადგენლებს მოემსახურება“. ერთ-ერთ რეგიონულ არხზე სიუჟეტში გააშუქეს ავტოსაგზაო შემთხვევა, რომლის დროსაც „დაილუპა ერთი ადამიანი და

⁵ შენიშვნა: ქალების მოხსენიება „ქალბატონოთი“ საკმაოდ ხშირი შემთხვევაა არხებზე, უმეტესად სიუჟეტებში წარმოდგენილი რესპონდენტების და თოქშოუს სტუმრების მხრიდან.

27 წლის გოგონა დაშავდა“. თუკი სქესის დაკონკრეტება ხდება, იგი ორივე შემთხვევაში უნდა მოხდეს და ამას მიზეზი უნდა ჰქონდეს.

ჟურნალისტების ტექსტებზე დაკვირვებასთან ერთად, მონიტორინგი აკვირდება სიუჟეტებში წარმოდგენილი რესპონდენტებისა და თოქშოუს სტუმრების ტექსტებს და წამყვანების რეაქციას იმ შემთხვევებზე, როცა სტუმრები ერთმანეთის მისამართით ან ზოგადად, საუბარში, იყენებენ ისეთ ენას, რაც არათანასწორად წარმოაჩენს ქალებს და ამყარებს გენდერულ სტერეოტიპებს. მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა შემთხვევები, როცა თოქშოუების წამყვანები წარმატებით ახერხებდნენ სტუმრებისთვის საუბრის შეწყვეტინებას და მათ ნათქვამზე რეაგირებას ან მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებისგან გამიჯვნას. **თუმცა, ზოგჯერ წამყვანებს ეს არ გამოსდიოდათ და პრაიმტიიმის ეთერში ვისმენდით სიტყვებსა თუ ფრაზებს, რაც ქალებს არათანასწორად წარმოაჩენდა.**

მონიტორინგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების წინ წამოწევას. მონიტორინგის პირველი თვის განმავლობაში ზოგ არხზე მომზადდა სიუჟეტები ქალებზე პარლამენტში, რაც უმეტესად კვოტების განხილვას უკავშირდებოდა, სხვადასხვა პარტიის სიაში მყოფ ქალ პოლიტიკოსებზე და მერობისა თუ მაჟორიტარობის ქალ კანდიდატებზე. ოქტომბრის მეორე ნახევარსა და ნოემბრის დასაწყისში ყველა არხმა მოამზადა სიუჟეტები სექსუალური შევიწროების და ძალადობის შესახებ, როგორც საზღვარგარეთ მიმდინარე პროცესები, ასევე საქართველოში წამოყენებული საკანონმდებლო ინიციატივა. სიუჟეტების ნაწილში კარგად იყო გადმოცემული პრობლემა, თუმცა, ზოგ არხზე სიუჟეტები აკნინებდა პრობლემის მნიშვნელობას და ირონიულ კონტექსტში სვამდა მას. მონიტორინგის მთლიან პერიოდზე დაკვირვების შედეგად შეიძლება, ითქვას, რომ **საერთო ჯამში, გენდერული თანასწორობის საკითხების გაშუქება ხშირი არ არის.** თოქშოუების უმეტესობა ორიენტირებული იყო მერობის კანდიდატებისა და სხვა პოლიტიკოსების წინასაარჩევნო კამპანიების გაშუქებაზე. თოქშოუებში შეინიშნებოდა ქალი სტუმრების სიმცირე. ქალების გამოჩენა ხშირად იმას უკავშირდებოდა, ჰყავდა თუ არა პარტიას ქალი კანდიდატი.⁶ გარდა სტუმრებისა, სულ რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა თოქშოუში მოწვეული პარტიის წარმომადგენლებს ჰკითხეს მათი პარტიის გენდერული პოლიტიკისა და კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმების შესახებ. შესაბამისად, ამ საკითხების განხილვა თოქშოუებში მცირე დოზით ხდებოდა და წინასაარჩევნო დღის წესრიგში ქალთა თანასწორობის საკითხის წამოწევა წარმატებით არ განხორციელებულა.

გენდერული თანასწორობის გაშუქების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით CRRC-საქართველომ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები მედიისთვის:

- საკითხების ისეთი გაშუქება, სადაც ქალი და მამაკაცი რესპონდენტები თანაბრად იქნებიან წარმოდგენილნი და ამით იმ სტერეოტიპის დარღვევა, რომ ზოგი პროფესია/საკითხი კაცს ან ქალს უფრო მეტად შეეფერება;

⁶ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კაცი კანდიდატები ჰარბობდნენ ქალ კანდიდატებს: <http://cesko.ge/statistic/>

- გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების უფრო ხშირი გაშუქება და წამოწევა თოქშოუებში;
- მეტი სიუჟეტის მომზადება, სადაც საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები დაიმსხვრევა; შესაბამისად, ნაკლები სიუჟეტი, რომელიც გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას უწყობს ხელს, მათ შორის წარმატებული ქალების, როგორც გამონაკლისების წარმოჩენა;
- ნებისმიერი სიუჟეტის მომზადებისას ჟურნალისტების მიერ გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის გააზრება;
- ახალი ამბების სიუჟეტებში ისეთი ტერმინებისთვის თავის არიდება, რაც სტერეოტიპების გამყარებას უწყობს ხელს. თოქშოუებში ასეთი ტერმინების სტუმრების მხრიდან გაჟღერების დროს წამყვანის მხრიდან არაკორექტულ საუბარზე მითითება და/ან გამოთქმული პოზიციისგან გამიჯვნა.

CRRC-საქართველოს რეკომენდაციას უწევს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ ჟურნალისტებთან და რედაქტორებთან მეტი მუშაობითა და ტრენინგებით მიაღწიონ იმას, რომ გენდერული თანასწორობის საკითხები სარედაქციო პოლიტიკის ნაწილი გახდეს და მედია პროდუქტების შექმნაში ჩართული ყველა მონაწილე იაზრებდეს გენდერული თანასწორობის საკითხების სწორად წარმოჩენის მნიშვნელობას.

ანგარიში მონიტორინგის შედეგებს წარმოადგენს არხების მიხედვით. განხილულია არხებზე მონიტორინგის დროს გამოვლენილი დადებითი მაგალითები და ისეთი შემთხვევები, სადაც გენდერულად არასენსიტიური გაშუქება დაფიქსირდა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, პირველი არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე 11 სექტემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში რამდენჯერმე მომზადდა სიუჟეტი ქალებზე პოლიტიკაში. სიუჟეტებში ჟურნალისტების ტექსტი საკმაოდ ნეიტრალური და გენდერულად დაბალანსებული იყო. თუმცა, რიგ შემთხვევებში რესპონდენტი კაცების კომენტარები გენდერული სტერეოტიპებით იყო გაჯერებული. მაგალითად, 11 სექტემბერს გასულ „მოამბეში“ გავიდა სიუჟეტი „ქალები პოლიტიკაში“. ერთ-ერთმა რესპონდენტმა, კერძოდ, გედევან ფოფხაძემ, თავის კომენტარში თქვა: „*მე მესმის, რომ ქალბატონებს უნდა შეეწყოს პოლიტიკაში ხელი, ჩვენ გვჭირდება ქალები პოლიტიკაში, მაგრამ პოლიტიკა არ არის ტრადიციული ტროლეიბუსი, რომ შენ გაჩერდე და ქალბატონი გაუშვა წინ*“. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტმა უკომენტაროდ არ დატოვა ეს მოსაზრება და დააბალანსა: „*თუმცა, იმაზე, რომ პოლიტიკაში ყველა კვალიფიკაციის მიხედვით უნდა მოხდეს და არა უბრალოდ გენდერული ნიშნით, არავინ კამათობს. არ კამათობენ არც იმაზე, რომ საქართველოში ქალებს არც კვალიფიკაციის პრობლემა აქვთ.*“ ასევე, 29 სექტემბერს გასულ „მოამბეში“, სიუჟეტში „საკრებულოს სხდომა“ მოხვდა საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ალიბეგაშვილის

კომენტარი: „ეს ყველაფერი პოლიტიკური მოუსთვის იყო გაკეთებული, და ამას ქალბატონმა პარლამენტარმა [იგულისხმება ელენე ხომტარია] თვითონვე გაუსვა ხაზი, რომ მისი მიზანი იყო საკრებულოს სხდომის ჩაშლა“. 1 ნოემბერს გავიდა სიუჟეტი ქალთა სექსუალურ შევიწროებაზე, რაც ჰარვი ვაინშტაინისა და ქევინ სფეისის შემთხვევების განხილვას ეთმობოდა ძირითადად და კამპანიას #metoo (#მეც). სიუჟეტში წამოწეულია საკითხი და კარგადაა გადმოცემული მასზე გამოხმაურება მსოფლიო მასშტაბით. ასევე, 2 ნოემბერს გავიდა სიუჟეტი „მარტოხელა დედის სტატუსი“, სადაც კარგად იყო გადმოცემული მარტოხელა დედების პრობლემები საქართველოში.

მიუხედავად არხის მცდელობისა, გენდერული საკითხები დაბალანსებულად და სტერეოტიპული გავლენების გარეშე გააშუქონ, წინასარჩევნო ეთერში დრო დაუთმონ ქალების საქმიანობას და კანდიდატებს ქართულ პოლიტიკაში, მაინც არის თემები და შემთხვევები, როცა წინ იწევს გენდერული დისბალანსი. ხშირად ასეთი თემებია: ჯანდაცვა, განათლება, სკოლებისა და საბავშვო ბაღების პრობლემები, ინკლუზიური განათლება. აღნიშნულ თემებზე გაკეთებულ სიუჟეტებში თითქმის ყოველთვის ჭარბობენ ქალი რესპონდენტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია რესპონდენტები, რომლებიც რაიმე თანამდებობაზე ყოფნის გამო კი არ არიან შერჩეული, არამედ შემთხვევით. მაგალითად, მშობლები ან ქუჩაში გამვლელები, რომელთა უმეტესობა ქალია. ამასთან, სიუჟეტებში, რომლებიც ეხება ავტომანქანებს, მათ ტექნიკურ დათვალიერებას, რესპონდენტები ძირითადად კაცი მძღოლები არიან. სიუჟეტებში საგარეო პოლიტიკაზე, კანონდარღვევებზე სტიქიურ უბედურებებზე, სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო კამპანიებზე ხშირად ქალი რესპონდენტების ნაკლებობა იგრძნობა. სტერეოტიპების მსხვერვის თვალსაზრისით საინტერესოა 15 ოქტომბრის სიუჟეტი საუკეთესო მასწავლებლის ტიტულის მქონე კაც მასწავლებელზე გურიიდან, სადაც ნაჩვენებია წარმატებული მასწავლებელი, რომელიც თანამედროვე მიდგომებს იყენებს და პროგრესულად უდგება თავის საქმეს. კადრში რამდენჯერმე ჩანს, როგორ დგას სამზარეულოში და აკეთებს საჭმელს, რაც ერთგვარად აბათილებს სტერეოტიპს იმის თაობაზე, რომ საჭმლის კეთება უმეტესად ქალის საქმეა. იყო ტრანსპორტის და საგზაო მოძრაობის თემაზე ისეთი სიუჟეტის შემთხვევაც, 1 ნოემბრის გადაცემაში, როცა ჭკვიანი კამერების ამოქმედების შესახებ პირველი რესპონდენტი, ქალი მძღოლი ჰყავდათ.

სტერეოტიპული გაშუქების მხრივ კარგი მაგალითია 4 ნოემბერს გასული სიუჟეტი „ქალები ISIS-ის წინააღმდეგ“, რომელიც ქალ მებრძოლებს ეხება. სიუჟეტში ხაზი გასმულია იმაზე, თუ რა როლს თამაშობენ ISIS-ის წინააღმდეგ ბრძოლაში ქალები. სიუჟეტში ქალები წარმოჩენილი არიან, როგორც მებრძოლები და ეს გარკვეულწილად სტერეოტიპების რღვევას უწყობს ხელს ამ სფეროში ქალების ნაკლებად წარმოჩენის გამო.

წინასაარჩევნო მონიტორინგის რაოდენობრივ მონაცემებს თუ შევხედავთ, საარჩევნო და პოლიტიკური სუბიექტებიდან ქალების გაშუქების წილი ძალიან მცირეა, 7%, რისი დიდი

ნაწილიც (68%) ქალთა პირდაპირ საუბარს წარმოადგენს, როცა ქალები სიუჟეტში რესპონდენტებად გვევლინებიან და თავად საუბრობენ ამა თუ იმ საკითხზე.⁷

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე წინა საარჩევნო პერიოდში გადაცემათა ციკლი „თვითმმართველობა 2017“ გადის. გადაცემას ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს საღამოს 9 საათზე ეთმობა ეთერი. გადაცემის მთავარი მიზანი მოსახლეობის წინასაარჩევნოდ ინფორმირებაა, არჩევნებში მონაწილე პარტიების, კანდიდატებისა და მათი პროგრამების შესახებ. ციკლის პირველი გადაცემა ინფორმაციული შინაარსის იყო. წამყვანიც და მოწვეული სტუმრებიც საუბრობდნენ იმაზე, თუ რა არის თვითმმართველობა და რა პირდაპირი მოვალეობები აქვს ადგილობრივ თვითმმართველობებს, რამდენად რეალურია ის დაპირებები რასაც კანდიდატები გვეუბნებიან წინასაარჩევნოდ, აქვთ თუ არა ამისთვის ბიუჯეტი და როგორ უნდა გააკონტროლოს მოსახლეობამ მათი ქმედებები. საუბარი უფრო ზოგადი ხასიათის იყო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მისი არჩევნების მნიშვნელობას ეხებოდა. მოწვეული იყვნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი სტუმრები, რომლებიც წამყვანთან ერთად ცდილობდნენ მოქალაქეების გათვითცნობიერებას წინასაარჩევნოდ.

დანარჩენი გადაცემები სხვადასხვა ქალაქის მერობის კანდიდატებს და მათი პროგრამების წარდგენას დაეთმო. 18 სექტემბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით გასულ გადაცემებში მოხვდნენ ბათუმის, ზუგდიდის, ფოთის, ოზურგეთის, ქუთაისის, ამბროლაურის, ახალციხის, მცხეთის, გორის, რუსთავის, თელავის მერობის კანდიდატები და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატები. აგრეთვე, კვალიფიციური პარტიების წარმომადგენლები. პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან გამომდინარე გადაცემებში კაცი მონაწილეები ჭარბობდნენ. ჯამში, აღნიშნულ გადაცემებში, 103 სტუმრიდან 20 ქალი და 83 კაცი კანდიდატი მონაწილეობდა.

გადაცემა საკმაოდ სტრუქტურირებულია, სტუმრებს გამოყოფილი აქვთ 90 წამი დასმულ კითხვაზე საპასუხოდ. ჟურნალისტი არ აწყვეტინებს მათ და არ ეძიება დამატებითი კითხვებით. თუმცა, გადაცემის ბოლოს ინდივიდუალურ კითხვებს უსვამს კანდიდატებს და აძლევს საშუალებას, მიმართონ ამომრჩეველს. გადაცემების უმეტესობა დაბალანსებული, მშვიდი და დინამიური იყო, სტუმრებს შორის ყოველგვარი დამაბულობისა და ჟურნალისტის მხრიდან უხეში დარღვევების გარეშე. სტუმრები იყვნენ თანაბარ მდგომარეობაში. ქალი და კაცი კანდიდატების მიმართ დამოკიდებულება ერთნაირი იყო.

გადაცემაში, რომელშიც ახალციხის მერობის კანდიდატები იყვნენ მიწვეული, არ ყოფილა ქართული ოცნების კანდიდატი. თუმცა, ამის შესახებ წამყვანმა გააკეთა განცხადება, რომ მისთვის ბოლო წუთებში გახდა ცნობილი, რომ კანდიდატმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე.

⁷ მონაცემები აღებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგებიდან, რომელიც ითვლის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნებთან დაკავშირებული სუბიექტების (პოლიტიკური პარტიები და სუბიექტები, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა) გაშუქების დროს. მონაცემები მოიცავს 11 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდს.

აქვე აღსანიშნავია გადაცემის დასაწყისში გასული სიუჟეტები, სადაც მოსახლეობასთან განხილულია რეგიონული პრობლემები და ამის მიხედვით ხდება წამყვანის მიერ კითხვების დასმა. ერთ-ერთ რეგიონში დასახელდა საბავშვო ბაღების ნაკლებობა, რაზეც კომენტარი ორმა მოსახლემ გააკეთა. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი კაცი იყო. ეს მისასალმებელი ფაქტია, რადგან საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით გაშუქებულ ამბებში მასიურად ქალი რესპონდენტები გვხვდებიან.

აჭარა

11 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში „აჭარის“ საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა რამდენიმე სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა ქალებს პოლიტიკაში, პარტიების გენდერულ პოლიტიკას და საკრებულოს ქალ წევრებს. 21 სექტემბრის სიუჟეტი „ქალები პოლიტიკაში“ საკმაოდ საინტერესოდ იყო გადაწყვეტილი; დასაწყისშივე და მთელი სიუჟეტის განმავლობაში კარგად ჩანდა სათაური „ქალები პოლიტიკაში“ და სიუჟეტი ბათუმის მერობის კაცი კანდიდატების პორტრეტების ჩვენებითა და დასახელებით დაიწყო, რამაც კარგად გაუსვა ხაზი, რომ ქალი კანდიდატი ბათუმს არ ჰყავდა.⁸ შემდეგ სიუჟეტში წარმოდგენილმა რესპონდენტებმა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმაზე, თუ რა ნიშნით შეარჩიეს კანდიდატები. სიუჟეტში ნაჩვენები იყო მოსახლეობის აზრიც ამ თემასთან დაკავშირებით, რესპონდენტი ქალებიც იყვნენ და კაცებიც, რომლებიც განსხვავებულ მოსაზრებებს წარმოადგენდნენ. სიუჟეტი წარმატებით გადმოსცემდა პრობლემას. 22 ოქტომბრის სიუჟეტში „გენდერი და თვითმმართველობა“ კარგად იყო განხილული ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალი კანდიდატების რაოდენობა წინა და 2017 წლის არჩევნების გამოც. სიუჟეტში სტატისტიკა იყო მოყვანილი, მოცემული იყო სქემა მუნიციპალიტეტებში ქალი კანდიდატების რაოდენობების შესახებ და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების კომენტარები.

„აჭარის“ მთავარ საინფორმაციოში ბევრი სიუჟეტი მიემდგნა ადგილობრივ არჩევნებს და ეს თემა საკმაოდ მრავალფეროვანი კუთხით გაშუქდა. იყო სიუჟეტები პარტიების საარჩევნო ნომრების, შემადგენლობის, კანდიდატების შესახებ, პარტიების ქალი კანდიდატებისა და ზოგადად გენდერული პოლიტიკის შესახებ, მაუწყებლის გეგმების შესახებ არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებით, ცესკოს განცხადებების შესახებ, ბათუმის მერობის კანდიდატების შესახებ, ბათუმის ყოფილი მერების შესახებ. წარმოდგენილი იყო ხალხის მოსაზრებაც ბათუმის მერთან დაკავშირებით, სადაც 15-15 ქალი და კაცი რესპონდენტი იყო ნაჩვენები. მომზადდა სიუჟეტები არჩევნების ტექნიკის, ამომრჩეველზე გავლენის მოხდენისა თუ პოლიტიკური გზავნილების შესახებ. გაშუქდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ანგარიში, იყო სიუჟეტი პარტიულ სიებში ეროვნული უმცირესობების შესახებ, წინასაარჩევნო გარემოსა და ოპოზიციის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების

⁸ ბათუმის მერობის 9 კანდიდატიდან 1 ქალი იყო.

ბრალდებების შესახებ. ზოგადად, არჩევნებზე სიუჟეტებში მეტი კაცი რესპონდენტი იყო წარმოდგენილი, ვიდრე ქალი.

თემები, რომელთა გაშუქებისასაც ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი ქალები, ეხებოდა კანონდარღვევებს, სტიქიურ უბედურებებს, საგარეო პოლიტიკასა და საზღვარგარეთის პოლიტიკურ ამბებს, სოფლის მეურნეობას, ინფრასტრუქტურას, ტურიზმს. ტურიზმის შემთხვევაში, თუკი სიუჟეტი ტურისტულ ინფრასტრუქტურას ეხებოდა, მაგალითად, სიუჟეტი მტირალას ეროვნული პარკის განვითარებაზე, ქალი რესპონდენტები წარმოდგენილი არ იყვნენ. თუმცა, სიუჟეტებში მიმზიდველ ტურისტულ ადგილებზე, გიდებზე, ტურისტულ ღონისძიებებზე და ფესტივალებზე საკმაოდ ბევრი ქალი რესპონდენტი იყო წარმოდგენილი. ქალების გარეშე მომზადებულ სიუჟეტებს შორისაა სიუჟეტი ტექდათვალიერების შესახებ, რომელიც ცხრა-ნახევარ წუთს გრძელდებოდა და მასში 10 რესპონდენტი იყო წარმოდგენილი, აქედან რამდენიმე ძძლოლი და ყველა კაცი. ეს აძლიერებს შეხედულებას, რომ საჭესთან ჯდომა კაცის საქმეა და ამყარებს მოსაზრებას, რომ ეს ცვლილებები არ ეხება ქალებს და მათი აზრი არაა საინტერესო. კიდევ ერთი სიუჟეტი ქალების გარეშე იყო „მზადება ზამთრისთვის“, სადაც საუბარი იყო აჭარის სოფლებში ზამთრის სამზადისზე. რესპონდენტები, ვინც ადგილობრივ მთავრობას წარმოადგენდნენ, ასევე სხვა ოფიციალური პირები, კაცები იყვნენ. თუმცა, სიუჟეტში ადგილობრივ მცხოვრებთა მოსაზრებაც ისმოდა და ის ორი რესპონდენტიც კაცი იყო. ასევე, 15 ოქტომბრის სიუჟეტში ხულოს ყოფილი გამგებლის შესახებ წარმოდგენილია 10 რესპონდენტი და აქედან ექვსი ხულოს რაიონის მცხოვრებია და არცერთი ქალი.

ქალებთან მეტად ასოცირებული თემები, სადაც რამდენიმე ქალი რესპონდენტი იყო წარმოდგენილი, ეხებოდა კულტურას, ხელოვნებას, ჯანდაცვას, განათლებას. თუკი სკოლასთან დაკავშირებული რამე ამბავი შუქდებოდა, როგორც განათლების, ისე ინფრასტრუქტურისა თუ ჯანდაცვის თემიდან გამომდინარე (სიუჟეტებში სკოლის ბუფეტზე, პედაგოგებზე, პარტიულ აგიტაციაზე სკოლებში, მოსწავლეების მოწამლვაზე), ჭარბობდნენ ქალი რესპონდენტები. მაგალითად, 9 ოქტომბრის სიუჟეტში „ვადაგასული პროდუქცია დახლებზე“, რომელიც გასაყიდი საკვები პროდუქტების ვარგისიანობის ვადას და მის კონტროლს ეხებოდა, ჟურნალისტს ბაზარში გამოკითხული ჰყავს მომხმარებლები, რომ გაიგოს, რამდენად ამოწმებენ პროდუქტის ვადას შეძენამდე. გამოკითხული ოთხი მყიდველიდან ოთხივე ქალია, რაც ამყარებს სტერეოტიპს, რომ ბაზარში წასვლა და საკვების ყიდვა ქალის საქმეა.

19 სექტემბრის გადაცემაში უცხოეთის ამბების გადმოცემისას ერთ-ერთი ამბავი ეხებოდა თურქეთის ერთ-ერთ ქალაქში ვარდისფერი ტროლეიბუსების გამოჩენას, რომელიც „მხოლოდ სუსტი სქესის წარმომადგენლებს მოემსახურება“. მსგავსი ტერმინის გამოყენება გენდერულ უთანასწორობას უსვამს ხაზს.

12 ოქტომბრის გადაცემაში გავიდა სიუჟეტი „სექსუალური ძალადობა მცირეწლოვანზე“, რომელიც ეხება ბათუმში 60 წლის კაცის მიმართ 8 წლის გოგოზე გარყვნილი ქმედების ბრალდებას. სიუჟეტი საკმაოდ ვრცელია. იგრძნობა ჟურნალისტის ფრთხილი დამოკიდებულება საკითხისადმი, ტერმინების სწორი შერჩევა, დაფარულია რესპონდენტების

სახეები და საუბრის დროს არ ისმის ისეთი სიტყვები, რაც ამ საქმესთან დაკავშირებული პირების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. სიუჟეტში წარმოდგენილია 8 წლის გოგოს დედა, ბრალდებულის მეუღლე და მეზობელი. მეზობელი აგრესიულად საუბრობს და ჟურნალისტებს ეჩხუბება, რომ საქმეს განყოფილებამ უნდა მიხედოს და არა ტელევიზიამ. ჟურნალისტი პასუხობს, რომ დედას აქვს უფლება, ამაზე სიუჟეტი გაგვაკეთებინოს ტელევიზიით, რაზეც მეზობელი პასუხობს: „რას ლაპარაკობთ, თავის შვილზე იდარდოს მერე, როგორ გაათხოვებს და რა ბედშიც მოახვედრებს“. ამ მოსაზრებას მეზობლები რამდენიმე წამში ისევ განავრცობენ: „ბოლომდე საქმე უნდა მიიყვანო მაშინ, თუ ჩივი, თუ დედა ხარ და თუ შენი შვილის ნამუსი გინდა დაფარო“; „ბაღანას გოგუტხეს სახელი, ბავშვს გაუტხეს სახელი“. ჟურნალისტს, სავარაუდოდ, უნდოდა ეჩვენებინა ხალხში გავრცელებული მცდარი მოსაზრება ასეთი ფაქტების დამალვის შესახებ. თუმცა, სიუჟეტში კარგად არ ჩანდა, რომ ეს არასწორი მიდგომა იყო და მსხვერპლს კი არ უნდა რცხვენოდეს ასეთი შემთხვევის, არამედ მოძალადეს.

რაოდენობრივად, 11 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე პერიოდში აჭარის ტელევიზიაზე სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გაშუქებული პოლიტიკური და საარჩევნო სუბიექტებიდან მხოლოდ 1%-ია ქალი. ამ გაშუქების ნახევარზე მეტი (55%) ქალების პირდაპირ საუბარს წარმოადგენს.⁹

ტელეკომპანია „აჭარაზე“ ორი პოლიტიკური თოქშოუ გადის: „ახალი სივრცე“ და „ფაქტორი“. „ახალი სივრცე“ ირინა ყურუას მიყავს. მონიტორინგის პერიოდში (11 სექტემბერი-3 ოქტომბერი) გასული გადაცემები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საარჩევნო გარემო და წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობა, კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების პროგრამების გაცნობა, პარტიების წარდგენა, აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატების პროგრამებისა და მათი გეგმების განხილვა. ამ გადაცემებში სულ სტუმრობდა 39 კაცი და 6 ქალი. საინტერესოა, რომ აღნიშნული 6 ქალი სტუმრად იყო მხოლოდ ორ გადაცემაში, რომელიც შეეხებოდა საარჩევნო გარემოსა და წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობას. აღნიშნული 5 ქალი რესპონდენტიდან 4 ჟურნალისტია, 1 იურისტი და 1 არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი. ყველა სხვა რესპონდენტი (კაცები) სხვადასხვა პარტიის საარჩევნო სიის პირველი ნომრები, სხვადასხვა პარტიის წევრები და მუნიციპალიტეტებში მერობის კანდიდატები იყვნენ.

14 სექტემბრის გადაცემაში, რომლის თემაც საარჩევნო გარემო და წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობა იყო, ჟურნალისტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ქალები არ არიან წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე და საია-ს ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელს დაუსვა მნიშვნელოვანი კითხვა, რომელშიც ხაზი გაუსვა პარტიების სიებში ქალი კანდიდატების სიმცირეს: „რა მდგომარეობაა გენდერულ ჭრილში, ვადა კვლავ არის, რომ

⁹ მონაცემები აღებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგებიდან, რომელიც ითვლის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნებთან დაკავშირებული სუბიექტების (პოლიტიკური პარტიები და სუბიექტები, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა) გაშუქების დროს. მონაცემები მოიცავს 11 სექტემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით პერიოდს.

პარტიებმა სიები წარმოადგინონ, მაგრამ ტენდენცია როგორია? დღევანდელი ვითარებით ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა წარმომადგენლობა დაბალია და ის 15%-ს შეადგენს. არცერთი მოქმედი მერი ქალი არ არის. პირდაპირი წესით არჩეული 59 გამგებლიდან მხოლოდ 1 ქალია. ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი?”

თოქშოუების მონიტორინგის დროს მნიშვნელოვანია დაკვირვება იმაზე, საუბრობენ თუ არა სტუმრები ისეთი ენით, რომ ხაზს უსვამენ ქალის არათანასწორობას მამაკაცთან და როგორია ასეთ შემთხვევებზე წამყვანის რეაქცია. 28 სექტემბრის „ახალ სივრცეში“ რესპონდენტის მხრიდან გენდერული სტერეოტიპის გამოყენების შემთხვევა დაფიქსირდა. „შენების მოძრაობის“ წევრმა მერაბ აბაშიძემ საკუთარი გუნდის წევრი ქალი შემდეგნაირად დაახასიათა: „გადმოვინაცვლოთ ჩემს მშობლიურ ხელვაჩაურში. ქალბატონი მაყვალა გეჯაძე, ფილოლოგი, ძალიან წარმატებული დიასახლისი, შვილების დედა, ყველანაირად წარმატებული ქალბატონი“. გადაცემის სტუმარმა, რომელსაც თავისი თანაგუნდელი შექება ჰქონდა განზრახული, მისი წარმატება მხოლოდ მის, როგორც დიასახლისის და დედის როლს დაუკავშირა, რითიც საზოგადოებაში ქალის როლის შესახებ დამკვიდრებული სტერეოტიპი გააჟღერა. წამყვანს რეაგირება არ მოუხდენია.

თოქშოუში „ფაქტორი“, რომელიც რუსუდან აბაშიძეს მიყავს, მონიტორინგის პერიოდში განიხილეს შემდეგი თემები: ახალი სასწავლო წლის დაწყება, მესამე მოწვევის თვითმმართველობის მუშაობის შეფასება, კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის გაცნობა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტში პარტიული სიის პირველი ნომრების წარდგენა. ხუთ გადაცემაში სულ სტუმრად იყო 19 კაცი და 3 ქალი. აღნიშნული 3 რესპონდენტი ქალიდან 2 მიწვეული იყო განათლების თემაზე სასაუბროდ. კერძოდ, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებულ გადაცემაში. მესამე ქალი სტუმარი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელია და მიწვეული იყო მესამე მოწვევის თვითმმართველობის მუშაობის შესაფასებლად. რესპონდენტი კაცების აბსოლუტური უმრავლესობა აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში პარტიების სიის პირველი ნომრები იყვნენ.

რაც შეეხება სტუმრების მხრიდან გენდერული სტერეოტიპების გაჟღერებას და წამყვანის რეაგირებას ამაზე, რამდენიმე შემთხვევა იყო. 6 ოქტომბრის „ფაქტორში“ ქედის მუნიციპალიტეტში ლეიბორისტული პარტიის სიის პირველი ნომერი გენადი დიასამიძე თამბაქოს წარმოებაში მუშაობას განიხილავდა „ქალთა კატეგორიის საქმედ“. ამაზე ჟურნალისტმა რუსუდან აბაშიძემ მოახდინა რეაგირება, ჩაერთო და ჰკითხა, რატომ უნდა დასაქმებულიყვნენ თამბაქოს წარმოებაში მაინცდამაინც ქალები. ამგვარი კითხვის დასმა ჟურნალისტის მხრიდან დადებითი მაგალითია, რადგან მან ბუნებრივად არ მიიღო პროფესიული სეგრეგაცია. კითხვაზე პასუხად რესპონდენტმა კვლავ გააგრძელა სტერეოტიპებით საუბარი. გენადი დიასამიძე: „*იმიტო, რო ისეთი კულტურაა, რო ქალის საქმეა რა ძირითადში, 90%. მამაკაცის საქმიანობა არის მაქა დახვნა და მერე სათბურების და ამის გაკეთება. დანარჩენი ქალებია...*“ აქ ჟურნალისტმა სცადა თემის შეცვლა და მომდევნო კითხვა დაუსვა სტუმარს: „*მაშინ რომელ დარგს აქვს მეტი მომავალი?*“ ამით წამყვანმა თავი აარიდა რეაგირებას სტუმრის მიერ სტერეოტიპული დისკურსზე.

13 ოქტომბრის „ფაქტორში“ ისევ ვხვდებით რესპონდენტის მხრიდან სტერეოტიპულ ენას. თამაზ ჯორბენაძე: „*მე ეს ერთი თვე ბედნიერი ვარ, რადგან ხელისუფლებამ მერობის კანდიდატად გოჩა მელაძე წარადგინა. ეს არის ჯიშინი და ფესვიანი კაცი*“. ჯიშინსა და ფესვიანს ქალი კანდიდატის აღსაწერად არ გამოიყენებდნენ. ქალებს, როგორც წესი, ნაკლებად წარადგენენ, როგორც ძლიერს და ამის მაგალითი ვნახეთ ამავე არხზე თოქშოუ „ახალ სივრცეში“, სადაც ქალი კანდიდატი წარმატებულად დიასახლისობისა და დედობის გამო დაასახელეს. „ჯიშინ კაცზე“ წამყვანს რეაგირება არ მოუხდენია.

რუსთავი 2

11 სექტემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით 9-საათიან „კურიერსა“ და „P.S.“-ში გასულ სიუჟეტებში იყო შემთხვევები, როდესაც კადრებით, რესპონდენტების კომენტარებით ან ჟურნალისტის ტექსტით ხდებოდა გენდერული სტერეოტიპების გამყარება. ისევე, როგორც მონიტორინგის ქვეშ მყოფ სხვა არხებზე, რუსთავი 2-ზეც გამოიკვეთა თემები, რომლებიც მეტად უკავშირდება კაცებს ან ქალებს. მაგალითად, თემები, როგორებიცაა: გარემოს დაცვა, სოციალური საკითხები, განათლება, ბალები, სკოლები, კულტურა, ჯანდაცვა უფრო მეტად ქალებთან ასოცირდება და რესპონდენტებიც ძირითადად ქალები არიან. მეორეს მხრივ, თემებში საგარეო საკითხები, სპორტი, მართლმსაჯულება, ფინანსები, აქციები, უშიშროება, ბიუჯეტი, კაცი რესპონდენტები ჭარბობენ. მაგალითად, 27 ოქტომბრის სიუჟეტში ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით შვიდი რესპონდენტია წარმოდგენილი: მთავრობის, პარლამენტის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და შვიდივე მათგანი კაცია. 1 ნოემბრის სიუჟეტში პარტიების დაფინანსებაზე რვა რესპონდენტია, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელი და რვავე კაცი.

თემების გენდერულად დაყოფასთან ერთად, გხვდება ისეთი სიუჟეტები, სადაც სხვადასხვა სიტუაციებში გამყარებულია ქალებისა და კაცების შესახებ საზოგადოებაში არსებული როლური სტერეოტიპები. ზოგ შემთხვევაში რჩება შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტების მხრიდან მეტმა მონდომებამ შეიძლება, გენდერული ბალანსის სურათი შეცვალოს.

მაგალითად, ერთ-ერთ სიუჟეტში საწვავის გაძვირებასთან დაკავშირებით რესპონდენტი მძღოლები არიან როგორც კაცები, ასევე ქალი. თუმცა, როცა ქალი მძღოლი ლაპარაკობს საწვავის ფასის მატებაზე, ჟურნალისტი მას ეკითხება „...პროდუქტებზეც აისახება?“, რაც ამყარებს სტერეოტიპს, რომ პროდუქტზე ფასების მატება და საოჯახო საქმესთან დაკავშირებული მსგავსი თემები უფრო მეტად ქალებს ეხებათ.

ასევე სტერეოტიპულ გაშუქებად შეიძლება, ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც სიუჟეტში ზაალ უდუმაშვილის სტუდენტებთან შეხვედრის შესახებ, ამ შეხვედრის შემდეგ მხოლოდ ბიჭი სტუდენტების კომენტარი იყო. გოგოები მხოლოდ კადრში ჩანდნენ, როგორ ისხდნენ შეხვედრაზე. შეხვედრის კადრებშიც ჩანს, როგორ უსვამს ბიჭი შეკითხვას უდუმაშვილს. კადრებში არაერთი გოგო ჩანს და ჟურნალისტებს შეეძლოთ, დაეცვათ რესპონდენტებში გენდერული ბალანსი.

არასტერეოტიპული გაშუქების კარგ მაგალითად შეიძლება, ჩაითვალოს 31 ოქტომბრის სიუჟეტი „Dan Bay & Maya“, ქართველ მომდერალ ქალზე, რომელიც ამავდროულად ერთ-ერთი წარმატებული ბანკის Union Investment-ის ხელმძღვანელი პირის პერსონალური ასისტენტია და პირველი ქართველია, რომელიც 2018 წლის გერმანიის ეკონომიკის სამიტზე ელჩად დაასახელეს. სიუჟეტში აღწერილი იყო მისი წარმატება, თუმცა, არსად მომხდარა ხაზგასმა სქესზე.

2 ნოემბრის სიუჟეტი „დახურული სკოლა სოფელ ქვეშში“, რომელიც ეხებოდა სკოლის ავარიულ შენობას სოფელ ქვეშში, რის გამოც მოსწავლეები გვერდით მდებარე სოფლის სკოლებში გადანაწილდნენ, რესპონდენტად წარმოდგენილია ერთ-ერთი მოსწავლის მამა, რაც სკოლის თემებზე მომზადებულ სიუჟეტებში საკმაოდ იშვიათია.

ასევე აღსანიშნავია სოციალურ ან ცხოვრებისეულ საკითხებთან დაკავშირებული სიუჟეტები, სადაც, ძირითადად, მხოლოდ მდებარეობითი სქესის მოსახლეობას ეკითხებიან აზრს.

აღსანიშნავია 8 ოქტომბერს „P.S.“-ში გასული სიუჟეტი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატ ნინო კვიციანიშვილზე. სიუჟეტის გასვლამდე ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ შეიძლება მოსახლეობისთვის თვალში საცემი არ არის ქალი პოლიტიკოსების ნაკლებობა, მაგრამ კაცები ნამდვილად ჭარბობენ, *„ამიტომაც პარტიები ცდილობენ, რომ მეტ ქალს მისცენ არჩევნებში მონაწილეობის და დეპუტატობის სავარძლისთვის ბრძოლის საშუალება. დღეს ჩვენ ერთ-ერთ მათგანს გავეცნობით.“* თუმცა, მიუხედავად ასეთი შესავლისა და ქალი პოლიტიკოსების თემის წინ წამოწევის მცდელობისა, სიუჟეტი საკმაოდ დატვირთულია გენდერული სტერეოტიპებით. ნინო კვიციანიშვილი პირველ რიგში წარმოდგენილია, როგორც მარტოხელა დედა და არა როგორც პროფესიონალი, პოლიტიკოსი ქალი. სიუჟეტი იწყება ამბით, როგორ მოჰყავს შვილი სკოლიდან, როგორ მიდიან სახლში, თამაშობენ, მეცადინეობენ. პარალელურად რესპონდენტი ყვება თავისი პირადი ცხოვრების დეტალებს. მის მონათხრობში ისმის ასეთი ფრაზები: *„მთელი ჩემი ცხოვრების იდეა, როგორც ქალის, მდგომარეობდა იმაში, რომ მე უნდა მყოლოდა შვილი. ვიცოდი, რომ თუნდაც ვყოფილიყავი მარტო, მე შევძლებდი შვილის აღზრდას.“* ჟურნალისტიც უსვამს ხაზს, რომ მარტოხელა დედა საზოგადოებაშიც აჩენს კითხვებს, თუმცა, ამას რესპონდენტი ადვილად გაუმკლავდა. სიუჟეტში ასევე ხაზგასმულია, რომ „მწირი შემოსავლის“ გამო მას მოუხდა ძალიან მალე გასულიყო სამსახურში.

ერთის მხრივ, ასეთი გაშუქება მაყურებელში რესპონდენტისადმი თანაგრძნობასა და სიმპათიას იწვევს. თითქოს წინ იწვევს პრობლემები, რომლებსაც ქალები ჩვენს საზოგადოებაში აწყდებიან. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის მეორე ნაწილში განხილულია მისი კარიერა და ნაჩვენებია მისი სამუშაო გარემო, მთელი სიუჟეტის განმავლობაში მაყურებელს მიჰყვება ის განწყობა, რაც სიუჟეტის პირველ ნაწილში შეექმნა: მარტოხელა დედა, რომელმაც შვილი უნდა გაზარდოს, რომელიც გარკვეულწილად სიბრალულს იწვევს ამის გამო. ნაკლებად რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის არჩევნებში მონაწილე ერთ-ერთი კანდიდატი, რომელსაც მისი პოლიტიკური შეხედულებების ან გაწეული სამუშაოს გამო ამომრჩეველმა ხმა უნდა მისცეს.

აუცილებლად აღსანიშნავია ამავე გადაცემაში გასული სიუჟეტი არასრულწლოვანი გოგოს გაუპატიურების შესახებ. როგორც სიუჟეტიდან ხდება ცნობილი, გოგოს თანასკოლელები რამდენიმე წლის განმავლობაში აუპატიურებდნენ მას. ის კი, შიშის გამო, ამას ვერ ამხელდა. ეს ამბავი გადაცემაში მთლიანად პოლიტიკური ქვეტექსტით გაშუქდა. წამყვანიც და ჟურნალისტიც აქცენტს აკეთებდნენ იმაზე, რომ მოძალადის მშობელი არის ქართული ოცნების წარმომადგენელი, ხოლო ძალადობის მსხვერპლის მშობელი - ოპოზიციის წარმომადგენელი. გიორგი გაბუნია: „დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში მშობლებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ მათ არასრულწლოვან ქალიშვილს 3 წლის განმავლობაში მისივე თანასკოლელები სისტემატიურად აუპატიურებდნენ. ალბათ, თქვენ მაშინვე გაგიჩნდებათ ლოგიკური კითხვა, როგორ შეიძლება 3 წლის განმავლობაში გაუპატიურებდნენ და ხმა არ ამოიღო? გოგო ამბობს, რომ მას ისე ემუქრებოდნენ, რომ შიშით ვერავის ეუბნებოდა ამ დანაშაულის შესახებ. სწორედ მუქარის შემცველი ერთ-ერთი მესიჯი ნახეს გოგონას მობილურში მისმა მშობლებმა და ასე გაიგეს მომხდარის შესახებ. ეს არ არის ყველაფერი. გაუპატიურებული გოგონას მამა ოპოზიციური პარტიის წევრია, ხოლო ერთ-ერთი სავარაუდო მოძალადის დედა, ამავე სკოლის პედაგოგი. ესეც არ არის ყველაფერი. ამ სავარაუდო მოძალადის ნათესავია სკოლის დირექტორიც, რომელიც ამავე დროს ქართული ოცნების წევრია, საკრებულოს მოქმედი დეპუტატია და თან მომდევნო არჩევნებშიც იყრის ხელახლა კენჭს. მისი შვილი კი რაიონის გამგებელია. ბუნებრივია ამდენი და ასეთი თანამდებობების მქონე დირექტორს არ აწყობს, რომ მის სკოლაში მომხდარი ძალადობა გახმაურდეს.“ ამბავი მთლიანად პოლიტიკურ ჭრილში გაშუქდა და მთელი სიუჟეტი მმართველი პარტიის უარყოფით კონტექსტში გაშუქებას მიეძღვნა მაშინ, როცა ასეთი ამბის გახმაურებას უნდა მოჰყოლოდა პრობლემის ძალიან მწვავედ დასმა, შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა და არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის დაგმობა.

სიუჟეტებში ჟურნალისტების ტექსტები ნაკლებად სტერეოტიპულია და არ ფიქსირდება მათი მხრიდან უხეში დარღვევები. თუმცა, ზოგჯერ მაინც ხვდება ასეთი ტიპის ფრაზები, რომლებსაც რესპონდენტები აჟღერებენ. მაგალითად, 19 ოქტომბრის სიუჟეტში სამეგრელოდან ორი მრავალწლოვანი ხის გადატანის შესახებ, ხეების გადატანის სამუშაოების შემსრულებელი აგრესიას გამოხატავს რუსთავი 2-ის ჟურნალისტისა და ოპერატორის მიმართ და არ სურს, რომ გადაიღონ. იგი ჟურნალისტს მიმართავს: „წადი ეხლა, თორემ დაგამტვრევ მაგას თავზე.“ და ცოტა ხანში ამატებს: „დავიფიწყებ ეხლა ქალი რომ ხარ“. გასაგებია, რომ სიუჟეტის ავტორს სურს, აჩვენოს, რომ რესპონდენტი არ აძლევდა კომენტარს და გადაღების საშუალებას, თუმცა, გაუგებარია, რატომ აკეთებს არხი ამ სექსისტური გამონათქვამის ტირაჟირებას.

ასევე, 8 ოქტომბრის სიუჟეტში ძველი თბილისის ინფრასტრუქტურაზე, სადაც ავარიული სახლების პრობლემაზეა საუბარი, აჩვენებენ დაზიანებულ შენობებს. ერთ-ერთი მაცხოვრებელი ამბობს: „ხოშტარია ხო, არაუშავს, მაგრამ არამგონია მე, რომ საერთოდ მერის კანდიდატი შეიძლება იყო ქალი, მამაკაცის პრიზმა მაინც სხვა არის.“ თუკი რესპონდენტის მხრიდან ასეთი კომენტარის სიუჟეტში გაშვება აუცილებლობას წარმოადგენს, საჭიროა ჟურნალისტის ტექსტით მისი დაბალანსება, რომ მაყურებელს არ განუმტკიცდეს სტერეოტიპი

ქალებისა და მამაკაცებისთვის „შესაფერისი“ პროფესიების შესახებ. ეს განსაკუთრებით პრობლემურია წინასაარჩევნო გარემოში, სადაც ქალი კანდიდატების სიმცირეა. ამით მყარდება სტერეოტიპი, რომ პოლიტიკა ქალის საქმე არ არის.

ასევე გვხვდება შემთხვევები, როდესაც პოლიტიკოსები არაკორექტულად მიმართავენ ქალ კოლეგებს. მაგალითად, გია ვოლსკი კადრში ეუბნება სალომე სამადაშვილს: „რა გაყვირებს, გოგო, რა არის?“ სხვა სიუჟეტში საკრებულოს უმრავლესობის წევრი კაცი სხდომაზე ოპოზიციონერი ქალების გამოსვლის შემდეგ მიმართავს მათ: „ჩვენ არ ვკვივართ, ჩვენ არ ვჭყვიპინებთ, თქვენ გაქვთ თქვენი გამოსვლის დრო და მაგ დროს შეგიძლიათ ისაუბროთ და ახლა მე დამაცადეთ საუბარი.“ გია ვოლსკის ეს განცხადება სალომე სამადაშვილმა თავადვე აღიქვა, როგორც თავდასხმა გენდერული ნიშნით და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსაც მიმართა და ახსნა, რატომ უშლის მსგავსი განცხადებები ხელს ქალების მოსვლას პოლიტიკაში.

აღსანიშნავია, ასევე, ნოემბერში გასული რამდენიმე სიუჟეტი, რომელიც სექსუალური შევიწროების თემას ეხება. ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში აქტუალური თემა ქართულ მედიაშიც გაშუქდა და რუსთავი 2-მა ამაზე რამდენიმე სიუჟეტი მოამზადა. სიუჟეტებში განხილული იყო საქართველოში არსებული მდგომარეობა (მაგალითად, 7 ნოემბერს გავიდა სიუჟეტი „ქალთა მოძრაობის მოთხოვნა“), ასევე, ჰოლივუდის ვარსკვლავების მოსაზრებები ამის შესახებ (15 ნოემბერს სიუჟეტი მერილ სტრიპისა და ვოგის რედაქტორის, ანა ვინტურის შეხვედრის შესახებ, სადაც ისინი ქალების და მათი პრობლემების შესახებ საუბრობენ.).

წინასაარჩევნო მონიტორინგის რაოდენობრივ მონაცემებს თუ შევხედავთ, რუსთავი 2-ზე საარჩევნო და პოლიტიკური სუბიექტებიდან ქალების გაშუქების წილი მხოლოდ 3%, რისი დიდი უმრავლესობაც (88%) ქალთა პირდაპირ საუბარს წარმოადგენს.¹⁰

რუსთავი 2-ზე გადის ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუ „არჩევანი“, რომელიც გიორგი გაბუნიას მიჰყავს. გადაცემის ფორმატი ასეთია, პირველ ნაწილში წარმოდგენილია სხვადასხვა ქალაქის მერობის, საკრებულოს თავმჯდომარეობის და დეპუტატობის კანდიდატები. მათ ეძლევათ თანაბარი დრო და თანაბარი უფლებები. ჯერ ზოგადად საუბრობენ წინასაარჩევნო დაპირებებზე, შემდეგ მოდის მოსახლეობის გამოკითხვა, თუ რა პრობლემა აწუხებთ ამ ქალაქის მაცხოვრებლებს და ამ გამოკითხვის შედეგების მიხედვით წამყვანი გამოყოფს ძირითად პრობლემებს, რომელზეც კანდიდატებმა სათითაოდ უნდა გასცენ პასუხი.

წამყვანი მართავს გადაცემის პროცესს. იგი არ აძლევს დებატების საშუალებას ოპონენტებს, ერთმანეთის დრო რომ არ გამოიყენონ და თითოეული მათგანი სამართლიან პირობებში იყოს. წამყვანი იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი ფორმატი მხოლოდ იმიტომ აქვთ, რომ

¹⁰ მონაცემები აღებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგებიდან, რომელიც ითვლის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნებთან დაკავშირებული სუბიექტების (პოლიტიკური პარტიები და სუბიექტები, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა) გაშუქების დროს. მონაცემები მოიცავს 11 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდს.

მაყურებლისთვის გასაგები იყოს კანდიდატების დაპირებები და კამათის გარეშე მოუსმინოს მათ. მეორე ნაწილში, სტუმრები არ იცვლება. სტუდიაში შემოდიან კონკრეტული ქალაქის ჟურნალისტები და თავისი არჩევანით უსვამენ კანდიდატებს კითხვებს.

გადაცემაში არის ინტერაქტივიც, პერიოდულად წამყვანი გვიკითხავს შედეგებს და იმასაც აზუსტებს, რომ ეს არ არის სოციოლოგიური კვლევის ტოლფასი და მით უმეტეს არ ასახავს პარტიების რეიტინგს. ეს ინტერაქტივი რუსთავი 2-ის მაყურებლის აზრია.

მონიტორინგის დროს გასულ გადაცემებს რუსთავის, ბათუმის, ქუთაისის და თბილისის მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატები სტუმრობენ. ასევე, თბილისის საკრებულოს დეპუტატობისა და თავმჯდომარეობის კანდიდატები. მოწვეულ სტუმრებში გენდერული ბალანსიც წარმოდგენილი პარტიების კანდიდატებიდან გამომდინარეობდა. ყველა გადაცემაში ჭარბობდნენ კაცი რესპონდენტები.

გადაცემები დაბალანსებული იყო, ყველა კანდიდატს ჰქონდა საშუალება, გამოეთქვა საკუთარი აზრი. წამყვანი ცდილობდა მოწვეულ ჟურნალისტებსაც თანაბრად დაესვათ კითხვები ყველა სტუმრისთვის, რომ არ დარღვეულიყო თანასწორობა.

აღსანიშნავია 3, 10 და 17 ოქტომბერს გასული გადაცემები, რომლებიც განსხვავებული ფორმატით გავიდა. სტუდიაში არ იყვნენ მიწვეული სტუმრები. ამის ნაცვლად, რუსთავი 2-ის 5-5 ჟურნალისტი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩავიდა მოსახლეობის აზრის გასაგებად, ხოლო 17 ოქტომბერს თბილისში. ჟურნალისტებმა გამოკითხეს ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებზე საუბრობდნენ. თითოეული ჟურნალისტის მიერ მომზადებული სიუჟეტი ცალ-ცალკე გავიდა. ისევე როგორც საინფორმაციო გამოშვებებში, ამ სიუჟეტებშიც მრავლად იყო გენდერული სტერეოტიპებით დატვირთული კადრები და რესპონდენტების კომენტარები. ქალები სამზარეულოში, საოჯახო საქმიანობისას ჩანდნენ. ერთ-ერთი ქალი რესპონდენტი ამბობს მეზობელ კაცზე: „მარტოკინა გადადის დუშეთში და იქა ჭამს საქმელს. აბა როგორ გააკეთებს? მამაკაცია.“

11 სექტემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით „განსხვავებული აქცენტების“ გასულ გადაცემებში მოხვდა როგორც სხვადასხვა კანდიდატებისა და პარტიების პროგრამების და ხედვების გაშუქება, ასევე, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური სხვადასხვა საკითხის განხილვა. წამყვანი საკმაოდ მომთხოვნი იყო და თითქმის ყველა სტუმარს ეძიებოდა დამატებითი კითხვებით. ამ მხრივ, კაცი და ქალი რესპონდენტები თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ.

აღსანიშნავია 28 ოქტომბრის გადაცემა, რომლის მეორე ბლოკის თემა ქალთა სექსუალური შევიწროება იყო. სტუდიის სტუმარი იყო თათია სამხარაძე, რომელმაც შალვა რამიშვილს უჩივლა სამსახურში სექსუალური შევიწროების გამო. წამყვანი მაღალი მგრძნობელობით გამოირჩეოდა საკითხის მიმართ. მან სტუმარს ეთერში შესვლისთანავე უთხრა, რომ იცის, რომ ტრავმირებულია და ძალიან ნერვიულობს, ამიტომ ბევრ დეტალს არ შეეკითხება ანუ შეეცადა,

მსხვერპლის ტრავმირება თავიდან არ მოეხდინა. წამყვანი ორიენტირებული იყო თემის სიღრმისეულად განხილვაზე და არა „სკანდალური“ ინფორმაციის მიღებაზე. ეკა კვესიტაძემ თქვა, რომ მან ეთერში მიზანმიმართულად არ მოიწვია შალვა რამიშვილი - სავარაუდო შემავიწროვებელი, რათა მას არ მოეხდინა სავარაუდო მსხვერპლის ტრავმირება კიდევ ერთხელ. ეს ჟურნალისტის მხრიდან ეთიკის კარგი მაგალითია, რადგან ერთი მხრივ იგრძნო პასუხისმგებლობა და სივრცე არ დაუთმო სავარაუდო მოძალადეს, მეორე მხრივ კი გაითვალისწინა მსხვერპლის მდგომარეობა. თუმცა იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა ბალანსი, შალვა რამიშვილის ადვოკატთან სატელეფონო ინტერვიუს ჩანაწერი გაუშვა ეთერში. ჟურნალისტმა თქვა, რომ არ ეგულება ქალი და ხაზი გაუსვა, რომ მათ შორის მოიაზრებს საკუთარ თავსაც, რომელიც სხვადასხვა სიტუაციაში სექსუალური შევიწროების მსხვერპლი არ გამხდარა. მთელი ბლოკის განმავლობაში ჟურნალისტმა სტუმრებთან ერთად რამდენჯერმე აღნიშნა, რომ აუცილებელია ამ თემაზე ფართო საზოგადოებრივი მსჯელობა წავიდეს, რათა შერცხვით არა მსხვერპლებს, არამედ შემავიწროვებლებს.

იმედი

11 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში „იმედის“ საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გამოიკვეთა გარკვეული გენდერული სეგრეგაცია იმ თემებთან დაკავშირებით, რაზე მომზადებულ სიუჟეტებშიც მხოლოდ ქალი ან მხოლოდ კაცი რესპონდენტები არიან წარმოდგენილნი. შედეგად, ზოგ საკითხთან მიმართებაში ქალები არ ჩანან და მათი ხმა არ ისმის. ოქტომბრის ბოლოს და ნოემბერში რამდენჯერმე მომზადდა სიუჟეტი სექსუალურ შევიწროებაზე, სადაც კარგ და ცუდ მაგალითებსაც ვხვდებით.

სიუჟეტები, სადაც ქალი რესპონდენტები ხშირად საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი, ეხება შემდეგ თემებს: ეკონომიკა და ფინანსები, ტექნოლოგიები (მაგალითად, სიუჟეტი ახალი აიფონის საქართველოში გაყიდვასთან დაკავშირებით), ინფრასტრუქტურა, კონფლიქტური ტერიტორიები, საგარეო პოლიტიკა, საზღვარგარეთის ამბები, ტერორიზმი, სამხედრო თემა/ჯარი, სტიქიური უბედურებები (მაგალითად, სიუჟეტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მძვინვარე ხანძართან დაკავშირებით, სიუჟეტი წყალდიდობასა და მეწყრის საშიშროებასთან), არჩევნები. არჩევნების შემთხვევაში ისეთი სიუჟეტებიც გვხვდება, სადაც ქალი პოლიტიკოსები არიან წარმოდგენილნი, როცა საარჩევნო კამპანიის გაშუქება მერობის/მაჟორიტარობის ქალ კანდიდატებს უკავშირდება.

თემები, რომლებიც უფრო მეტად ქალებთან ასოცირდება, არის: განათლება (სკოლები, საბავშვო ბაღები), ჯანდაცვა, დემოგრაფია, გარემოს დაცვა (მაგალითად, ჰაერის დაბინძურება). სიუჟეტებში, რომლებიც სკოლამდელი ასაკის ან სკოლის მოსწავლეების გარშემო მომხდარ შემთხვევებს ეხება და რესპონდენტებად წარმოდგენილნი არიან მათი მშობლები, უმეტესად ვხვდებით დედებს, რაც, საერთო ჯამში, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ბავშვებზე ზრუნვა ძირითადად დედის პრეროგატივაა.

საინტერესო მაგალითია 24 ოქტომბრის სიუჟეტი სექსუალური შევიწროვების აკრძალვის მოთხოვნის შესახებ, რომელშიც ხუთი რესპონდენტი იყო წარმოდგენილი, არასამთავრობო ორგანიზაციების, პარლამენტის წარმომადგენლები, მოდელი. ამ თემაზე საინტერესო იქნებოდა კაცი რესპონდენტის მოსაზრება, იგივე პარლამენტიდან, თუმცა, ყველა რესპონდენტი ქალი იყო. ამავე თემაზე 7 ნოემბერს მომზადდა სიუჟეტი, სადაც ოთხი კაცი და სამი ქალი რესპონდენტი იყო. სიუჟეტი საკმაოდ კარგად განმარტავდა, რას ნიშნავს სექსუალური შევიწროება, როგორ განისაზღვრება და როგორ შეიძლება დაისაჯონ კანონდამრღვევები. სექსუალური შევიწროების თემა კიდევ ერთხელ გაშუქდა 10 ნოემბერს სიუჟეტში, რომელიც შოუბიზნესის ცნობილი სახეების მიმართ სექსუალური შევიწროების ბრალდებებს ეხებოდა. ამ სიუჟეტში არ იგრძნობოდა მგრძობელობა ამ თემის მიმართ და თემა წარმოდგენილი იყო, როგორც შოუბიზნესის ახალი მოდური ტენდენცია. „სექსუალურ ძალადობასა და შევიწროებაში ცნობილი ადამიანების დადანაშაულება შეერთებულ შტატებსა და ევროპაში ერთგვარ ტენდენციად იქცა.“ „სექს სკანდალი ეპიდემიასავით მოედო ევროპასაც“. სიუჟეტში მოთხრობილია ვაინშტაინის, კევინ სპეისის, დასტინ ჰოფმანის, სტივენ სიგალის შემთხვევებზე, ასევე მერაია ქერის მიმართ სექსუალური შევიწროების ბრალდებაზე. „სექსუალურ შევიწროებაში, როგორც ჩანს, მამაკაცებს არც ქალები ჩამორჩებოდნენ“ - თითქოს მერაია ქერის ბრალდება აბალანსებს ქალების და კაცების მიმართ სექსუალური შევიწროების შემთხვევებს. სიუჟეტის ბოლოს ავტორი ამბობს, რომ ამ ამბებმა მსოფლიოში ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ტალღა წარმოშვა. თუმცა, ამ საკითხის გაშლაზე მეტი დრო სიუჟეტში დათმობილი აქვს რუსეთში ამერიკის საელჩოსთან გამიშვლებულ გოგოებს, რომლებმაც ვაინშტაინს სოლიდარობა გამოუცხადეს. მთლიანობაში სიუჟეტში არ იგრძნობა მგრძობელობა თემის მიმართ, არ წარმოაჩენს საკითხს, როგორც სერიოზულ პრობლემას. ეს იმანაც გაამძაფრა, რომ სიუჟეტის დასრულების შემდეგ (სიუჟეტი შიშველი რუსი გოგოების კადრებით დასრულდა) საინფორმაციო გადაცემის წამყვანმა ლევან ჯავახიშვილმა ღიმილიც ვერ შეიკავა სახეზე. თემა მთლიანად დაყვანილია შოუ ბიზნესის სკანდალამდე და არ შეიმჩნევა მგრძობელობა საკითხის მიმართ.

10 ნოემბრის სიუჟეტში უმცროსკლასელებისთვის ფულის გამოძალვის სავარაუდო ფაქტის შესახებ წარმოდგენილია ხუთი რესპონდენტი, აქედან ორი სკოლის მოსწავლეების დედები არიან, დირექტორი, მასწავლებელი და რესურს ცენტრის წარმომადგენელი - ხუთივე ქალი. ზოგადად, სკოლის მოსწავლეებთან დაკავშირებულ საკითხებზე და სკოლაში მომხდარ ამბებზე სიუჟეტებში უმეტესად ქალი რესპონდენტები ჭარბობენ, რაც აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ბავშვის აღზრდა (განსაკუთრებით სასკოლო ასაკში) ქალის საქმეა.

მონიტორინგის მოცემული პერიოდის განმავლობაში იყო სიუჟეტები, სადაც კაცი და ქალი რესპონდენტები თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი, მაგალითად, სიუჟეტები საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ (თუმცა, 6 ოქტომბრის გადაცემაში გავიდა შვიდწუთნახევრიანი სიუჟეტი ვენეციის კომისიის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცების შესახებ, სადაც ცხრა რესპონდენტი, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და პარლამენტის წევრები და ყველა კაცია), ტურისტული სეზონის შესახებ, ცენტრპოინტის საქმის განხილვის შესახებ. იყო სიუჟეტები, სადაც წარმოდგენილი ქალი რესპონდენტები მამაკაცების თანასწორად იყვნენ ნაჩვენები და გარკვეულწილად

ამსხვრევდნენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს ქალებისა და კაცების პროფესიებისა თუ საქმიანობების შესახებ. მაგალითად, სიუჟეტში ტურისტული სეზონის შესახებ იყო ნაჩვენები ბიზნესმენი ქალი, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქალი; სიუჟეტში რთველზე კადრში ჩანდა ქალი, რომელიც საჭესთან ჯდება და დაკრეფილი ყურძენი მარანში მიაქვს, თვალყურს ადევნებს ღვინის დაწურვის პროცესს; სიუჟეტში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევების შესახებ რესპონდენტი იყო საგზაო მოძრაობის ექსპერტი ქალი; მძღოლი ქალი. 18 ოქტომბრის სიუჟეტში სირიის ქალაქ რაქაზე რესპონდენტად წარმოდგენილი იყო სირიის დემოკრატიული ძალების მებრძოლი ქალი, სამხედრო ფორმაში, რაც გარკვეულწილად არღვევს სტერეოტიპს, რომ ჯარი და ბრძოლა ქალის საქმე არ არის.

თუკი ზემოთ ნახსენებ თემებთან (მაგალითად, ეკონომიკა და ფინანსები, ტექნოლოგია, სამხედრო საქმე, საგარეო პოლიტიკა, სპორტი და ა.შ.) დაკავშირებით ხშირად ვხვდებით სიუჟეტებს, სადაც ქალი რესპონდენტები წარმოდგენილნი საერთოდ არ არიან, სიუჟეტები კაცი რესპონდენტების გარეშე იშვიათია. ასეთ სიუჟეტებში რესპონდენტები ან საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი, ან ეს სიუჟეტები ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა: კულტურა, ხელოვნება ან მოდა.

მონიტორინგი ყურადღებას ამახვილებს სიუჟეტებში ისეთი სიტყვების თუ ფრაზების გაჟღერებაზე, ისეთ კადრებზე, რაც ქალებს არათანასწორად წარმოაჩენს, ამყარებს ან ამსხვრევს საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს. 25 სექტემბრის გადაცემაში გავიდა სიუჟეტი სარფის საბაჟო პუნქტზე მომხდარი ინციდენტის შესახებ, როცა საზღვარზე არ გამოატარეს საქართველოს მოქალაქე, ქალი. სიუჟეტში რამდენიმე თვითმხილველის კომენტარია, რომლებიც საუბრობენ იმაზე, რომ ქალს სცემდნენ. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს: „ჩემ წინ ქალი იდგა, რომელიც ჩაადო, ჭიშკრებზე არტყმია თავი. მე გამოვიქეცი ამ ქალის საშველად, რო ქალია და მანდილოსანია და ცოდვია...“ სიუჟეტში სხვა რესპონდენტებიც საუბრობენ ფიზიკური ძალადობის ფაქტზე და სიუჟეტის დამონტაჟების დროს შესაძლებელი იყო ამ რესპონდენტის კომენტარის შემოკლება ან საერთოდ არ გამოყენება, რადგან ხაზგასასმელია მეზაჟის მხრიდან ძალადობა მოქალაქეზე და არა ის, რომ ეს მოქალაქე ქალია და ამიტომ უფრო მეტ სიბრაულს იმსახურებს.

24 სექტემბერს „იმედის კვირაში“ გავიდა სიუჟეტი მოსახლეობის კლებისა და საქართველოში დემოგრაფიული პრობლემების შესახებ. სიუჟეტი იწყება ექვსშვილიანი ოჯახის ჩვენებით, სადაც დედა საუბრობს იმაზე, რომ ექვსი შვილი - ეს მისი არჩევანია და შვილების ყოლის დადებით მხარეებზე საუბრობს. კადრში ამ ქალის გარდა, რომელიც საუბრობს, ჩანან მისი შვილები, სხვადასხვა ასაკის და მისი საქმიანობა სახლში. დედა ბავშვით ხელში სამზარეულოში საქმიანობს, შემდეგ უზის ბავშვი კალთაში და აჭმევს მას. მამა არ ჩანს, მას მხოლოდ ჟურნალისტი ახსენებს: „ოჯახს ფინანსურად მამა უზრუნველყოფს“. სიუჟეტის ეს ნაწილი ხაზს უსვამს ქალის, როგორც დედის როლს, რომელიც ძირითადად სახლშია (ზოგჯერ იღებს შეკვეთებს და სახლში აცხობს), უვლის შვილებს და ბედნიერია ამით, მამა კი, რომელიც სახლში არ ჩანს, ფინანსურად უზრუნველყოფს ოჯახს.

7 ოქტომბრის „ქრონიკაში“ წინასაარჩევნო გარემოზე სასაუბროდ სტუმრობდნენ ლევან გოგიჩაიშვილი ქართული ოცნებიდან და თინა ბოკუჩავა ნაციონალური მოძრაობიდან.

გადაცემის და ამ ნაწილის წამყვანიც თეა სიჭინავა იყო. სტუმრები ერთმანეთში კამათობდნენ, ერთმანეთს კითხვებს უსვამდნენ, არ ასრულებინებდნენ საუბარს. ახსენებდნენ მიხეილ სააკაშვილს, ბიძინა ივანიშვილს, შსს მინისტრს. ამ კამათის დროს ლევან გოგიჩაიშვილმა ერთხელ ჩაილაპარაკა: „*კარგია, თინა, რო აქციაზე არ იყავი იმიტო, რო შეიძლება დაგეპორჭყნა პოლიციელები*“. სიტყვა „დაგეპორჭყნა“ ოპონენტის გენდერზე უსვამს ხაზს. ამის შემდეგ გრძელდება კამათი და გოგიჩაიშვილი ბოკუჩავას ეუბნება: „*შეეხო, რას ნიშნავს, ეხლა საკუთარ სამზარეულოში კი არ ზიხართ*“. თეა სიჭინავა არ რეაგირებს არცერთ ამ შემთხვევაზე მაშინაც კი, როცა თინა ბოკუჩავა თავადვე ეპასუხება გოგიჩაიშვილს: „*სამზარეულოში, ეს ჩემს გენდერს ხომ არ უკავშირდება, უკაცრავად?*“ აქაც კი, როცა ბოკუჩავა თავადვე მიუთითებს სექსისტურ გამონათქვამზე, თეა სიჭინავა ამბობს: „*ეს არ არის ჩვენი საუბრის მთავარი თემა*“ და ცდილობს დაასრულოს ეს საუბარი.

1 ნოემბრის სიუჟეტი საბავშვო ბაღების აღმზრდელების გადამზადების შესახებ დადებით მაგალითად შეგვიძლია, განვიხილოთ. სიუჟეტის ავტორი ხაზს უსვამს საჯარო ბაღებში აღმზრდელთა გადამზადების მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც ბავშვების გენდერული ნიშნით გამორჩევა არასწორია და ამის აღმოსაფხვრელად უნდა მოხდეს გადამზადება. გენდერული ნიშნით გამორჩევის მაგალითად და სიტუაციის ასაღწერად ჟურნალისტი ასახელებს საჯარო ბაღში ბავშვების მიერ პროფესიების გაცნობის თემას, როცა „ბიჭებმა მშენებლების როლი მოირგეს, ხოლო გოგონების უმეტესობა მკერავი ან მზარეული“ იყო.

რაოდენობრივად, წინასაარჩევნო მონიტორინგის მონაცემების მიხედვით, საარჩევნო და პოლიტიკური სუბიექტებიდან ქალების გაშუქების წილი მხოლოდ 3%-ია და ამ გაშუქების დიდი უმრავლესობა (82%) ქალთა პირდაპირ საუბარს ეთმობა.¹¹

„იმედის“ პრაიმტიიმ ეთერში გადის პოლიტიკური თოქშოუ „**ამომრჩევლის პირისპირ**“, რომელიც მიყავს ირაკლი ჩიხლაძეს და რომელიც არჩევნებში მონაწილე თუ არჩევნებთან დაკავშირებულ პირებს იწვევს გადაცემაში წინასაარჩევნო თემებზე სასაუბროდ.

მონიტორინგის პერიოდში (11 სექტემბერი-12 ნოემბერი) გადაცემის ბლოკების თემები მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: წინასაარჩევნო გარემო, წინასაარჩევნო დარღვევები, პარტიების წარდგენა, თბილისისა და ქუთაისის მერობის კანდიდატების დებატები, პარტიული სიის პირველი ნომრების წარდგენა, წინასაარჩევნო გარემოს შეფასება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ, ავტომობილების ტექდათვალიერება და საპენსიო რეფორმა. ამ გადაცემებში სულ სტუმრად იყო 74 კაცი და 27 ქალი.

საინტერესოა, რომ რესპონდენტებს შორის ბალანსი დარღვეული იყო არა მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ, როგორც ქუთაისის შემთხვევაში, სადაც მერობის ქალი კანდიდატი არ

¹¹ მონაცემები აღებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგებიდან, რომელიც ითვლის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნებთან დაკავშირებული სუბიექტების (პოლიტიკური პარტიები და სუბიექტები, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა) გაშუქების დროს. მონაცემები მოიცავს 11 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდს.

ყოფილა, მერობის კანდიდატების დებატებში 5 კანდიდატიდან არცერთი ქალი არ იყო, არამედ მაშინაც, როდესაც რომელიმე პარტიისა თუ ალიანსის წარდგენა ხდებოდა. მაგალითად, 3 ოქტომბრის გადაცემაში პირველი ბლოკი დაეთმო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარდგენას. პარტიის 10 წარმომადგენლიდან მხოლოდ 2 იყო ქალი. 26 სექტემბრის გადაცემაში, სადაც მეორე ბლოკი დაეთმო „ევროპული საქართველოს“ წარდგენას 12 სტუმრიდან 4 ქალი იყო, „ევროპული საქართველოს“ მერობის კანდიდატები თბილისში, ზუგდიდში, თელავსა და რუსთავში. პარტიული სიის პირველი ნომრების წარდგენისასაც მხოლოდ ერთი ქალი იყო სტუდიაში და სამი კაცი, თუმცა, ეს პარტიების პირველ ნომრად მყოფი პირებიდან გამომდინარეობს. გენდერული ბალანსი დაცული იყო 19 სექტემბრის გადაცემის პირველ ბლოკში, რომელიც შეეხებოდა წინასასარჩევნო დარღვევებს და იყო 4 სტუმარი სხვადასხვა პარტიიდან, 2 ქალი და 2 კაცი.

თოქშოუების მონიტორინგის დროს მნიშვნელოვანია დაკვირვება იმაზე, საუბრობენ თუ არა სტუმრები ისეთი ენით, რომ ხაზს უსვამენ ქალის არათანასწორობას მამაკაცთან და როგორია ასეთ შემთხვევებზე წამყვანის რეაქცია. გადაცემაში „ამომრჩევლის პირისპირ“ წამყვანი მსგავს შემთხვევებზე რეაგირებას ხან ახდენდა, ხან არა.

26 სექტემბრის გადაცემაში ნიკა მელიამ არაერთხელ მიმართ ქართული ოცნების საარჩევნო სიის პირველ ნომერს ისე, რომ ხაზი გაუსვა მის სქესს: *„არ გეწყინოთ, ჩემო ქალბატონო, რაც არ უნდა ისაუბროთ, რომ თქვენ უპარტიო ბრძანდებით და თქვენ თქვენს გუნდზე პასუხისმგებლობას არ აიღებთ, თქვენი კეთილსახიანი ნიღბის უკან იმალება ნარმანია, კალაძე, ფარცხალაძე... მე ძალიან მერიდება თქვენთან, როგორც ქალბატონთან, ამაზე საუბარი, მაგრამ ეს ფაქტია. თქვენ მილიონნახევრიანი ქალაქისა და სახელისუფლებო პარტიის სიის პირველი ნომერი ხართ. ამიტომ, გუშინ თუ თქვენდამი კრიტიკული არ ვიქნებოდი, დღეს დიახაც მოგთხოვთ პასუხს“.* ჟურნალისტს ამაზე რეაგირება არ მოუხდენია.

მაესტრო

მონიტორინგის პერიოდში (11 სექტემბერი-12 ნოემბერი) მაესტროზე გასულ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასულ სიუჟეტებში თემების მიხედვით ნაკლებად იყო გენდერული ნიშნით სეგრეგაცია. ქალი რესპონდენტები, ისევე როგორც კაცები, ხშირი იყო ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საგარეო პოლიტიკა, მართლმსაჯულება, ეკონომიკა, საკონსტიტუციო ცვლილებები და სხვა. ამ მხრივ, მაესტროზე სხვა არხებთან შედარებით სურათი მეტად დაბალანსებულია და თემების გაყოფა კაცი და ქალი რესპონდენტების მიხედვით ნაკლებად შესამჩნევია.

თუმცა, იყო სიუჟეტები, სადაც გენდერული სტერეოტიპების გამყარების მაგალითები დაფიქსირდა. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია 11 სექტემბერს გასული სიუჟეტი „სათამაშოების უსაფრთხოება“. სიუჟეტი ეხება სათამაშოების უსაფრთხოებას და ამ მხრივ რეგულაციების არარსებობას საქართველოში. სიუჟეტის დასაწყისში ჩანს, როგორ თამაშობენ ქვიშაში მცირეწლოვანი ბიჭი და გოგო მანქანით, რაც გენდერულად ნეიტრალური და იმ

სტერეოტიპისაგან თავისუფალი კადრია, რომ სათამაშო მანქანა მხოლოდ ბიჭებისთვისაა განკუთვნილი. თუმცა, კადრში ვხედავთ მცირეწლოვან გოგოს, რომელსაც ხელში ჰყავს თოჯინა - ჩვილი ბავშვი, რომელსაც ის საწოვართი და შემდეგ კოვზით აჭმევს და უმღერის. ჩვილი ბავშვის თოჯინების, სამზარეულოს მოწყობილობებისა და სხვა ნივთების გოგოებისთვის განკუთვნილ სათამაშოებად წარმოჩენა სტერეოტიპების გამყარებას უწყობს ხელს. აზრს, რომ გოგოებს თანდაყოლილად აქვთ ბავშვის მოვლის უნარები და სურვილი. ეს კადრი ამყარებს სტერეოტიპს, რომ გოგოებისთვის შესაფერისი სათამაშოები აუცილებლად სტერეოტიპულად „ქალურ“ საქმესთან დაკავშირებული ნივთებია და რომ არსებობს „ქალური“ და „კაცური“ საქმიანობის ტიპები. 16 ოქტომბერს ისევ მომზადდა სიუჟეტი სათამაშოების უსაფრთხოებაზე, სადაც პატარა გოგოს თოჯინით თამაშის იგივე კადრები გავიდა. თუმცა, ამ სიუჟეტში მისასაღმებელია მამის კომენტარი, რომელიც ბავშვისთვის სათამაშოების შერჩევაზე საუბრობს.

ასევე, სიუჟეტი, სადაც საუბარია თბილისში პეკინის ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობის დადგენის შესახებ. ქუჩაში გამოკითხულია 3 მძღოლი და 2 გამვლელი. სამივე მძღოლი კაცია და ორივე გამვლელი - ქალი. ეს ამყარებს სტერეოტიპს, რომ მანქანებს ძირითადად კაცები მართავენ, ქალები კი ფეხით გადაადგილდებიან.

სტერეოტიპული გაშუქების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს 4 ნოემბერს გასული სიუჟეტი პროდუქტებზე ფასის შესაძლო ზრდასთან დაკავშირებით. ბაზარში გამოკითხულია გამყიდველი და მყიდველი ქალი რესპონდენტები, ხოლო ექსპერტები, რომლებსაც ამ საკითხზე აზრს ეკითხებიან, კაცები არიან.

აქვე აღსანიშნავია გენდერულად ნეიტრალური სიუჟეტი ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაკავებული ორი მოქალაქის შესახებ. კადრებში ჩანს, რომ დაკავებული მოქალაქეები ქალები არიან. მართალია, მათ სახე დაფარული აქვთ, რადგან პიროვნების იდენტიფიცირება არ მოხდეს, თუმცა მათი ჩაცმულობიდან და ასევე იქიდან გამომდინარე, რომ დაკავებულები საპატრულო პოლიციის მანქანისაკენ პატრულის თანამშრომელ ქალებს მიჰყავთ, ვხვდებით, რომ ისინი ქალები არიან. მიუხედავად ამისა, სიუჟეტში არც ერთგან არაა ნახსენები მათი სქესი და ყველა შემთხვევაში, სადაც ნახსენები არიან დაკავებულები, ჟურნალისტი იყენებს სიტყვას „მოქალაქე“ ან „დაკავებული“, რომლებიც გენდერულად ნეიტრალური სიტყვებია.

ასევე არასტერეოტიპული გაშუქების მხრივ აღსანიშნავია 5 ნოემბერს გასული სიუჟეტი მოხალისე ქალების შესახებ სირიის არმიის მიმართ. სიუჟეტში მოთხრობილია 50 მოხალისე ქალის შესახებ, რომლებიც სირიის არმიას შეუერთდნენ. კადრში ჩანან სირიის არმიის ფორმაში ჩაცმული ქალები, იარაღით ხელში, როგორ ისვრიან და არის ერთ-ერთი ქალის ინტერვიუც: *„ჩვენ ავირჩიეთ ეს საქმე, რომ სირიაში ხალხმა უსაფრთხოდ და მშვიდად იგრძნოს თავი. ჩვენ ისევე გვაქვს უფლება დავიცვათ საკუთარი ქვეყანა, როგორც მამაკაცებს. სირია გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი ქვეყანაა.“* მსგავსი სიუჟეტები ხელს უწყობენ გენდერული სტერეოტიპების დამსხვრევას და ქალების ისეთ ამპლუაში წარმოჩენას, რომელიც უფრო მეტად კაცებთან ასოცირდება.

მონიტორინგის პერიოდში მსოფლიოში აქტუალური გახდა სექსუალური შევიწროების თემა, რომელსაც ქართული მედიაც გამოეხმაურა. ისევე, როგორც სხვა არხებზე, მაესტროზეც გავიდა სიუჟეტები სექსუალური შევიწროების შესახებ, როგორც ქართულ, ისე უცხოურ სიტუაციაზე. 23 ოქტომბერს გამოუქდა შვედეთში ქალების მიერ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ გამართული აქცია. ასევე, 24 ოქტომბერს გავიდა სიუჟეტი გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის შესახებ. სხდომაზე დეპუტატების, სალომე სამადაშვილისა და ხათუნა გოგორიშვილის სარჩელები განიხილეს და უმრავლესობის წევრები გიორგი ვოლსკი და ვანო ზარდიაშვილი ეთიკის წესების დარღვევაში დაადანაშაულეს. სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ საბჭო შეთანხმდა, გარკვეული ეთიკის ნორმების შემუშავების აუცილებლობაზე, ვინაიდან ამ დროისთვის არსებული კანონმდებლობა არანაირ საპასუხო ოქმს არ ითვალისწინებს.

აქვე აღსანიშნავია 2 ნოემბერს გასული სიუჟეტი ასევე სექსუალური შევიწროების ფაქტებთან დაკავშირებით მსოფლიოში. სიუჟეტში საუბარი იყო ამერიკული სამყაროს ერთ-ერთი გავლენიანი პროდიუსერის შესახებ, რომელსაც ქალები სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობაში სდებენ ბრალს, მათ შორის არის რუსეთში მოღვაწე ქართველი ტელე-წამყვანი ეკატერინე მწითურიძეც. აღსანიშნავია ჟურნალისტის ტექსტი, რომელიც საკმაოდ ირონიული იყო: *„უბრალოდ ტრენდი, თუ იაფი თვითრეკლამა? ეს ჯერ კიდევ საკითხავია. სადამდე მივა კამპანია 'მეც' და მოიტანს თუ არა პრობლემის საჯაროდ აღიარება რეალურ შედეგს, ამას მომავალი აჩვენებს.“* ეს კი საკითხის მნიშვნელობას აკნინებდა.

თოქმოუ „ცეცხლის ხაზი“ მაესტროზე ყოველ ოთხშაბათსა და შაბათს გადის. მისი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ გადაცემის ორივე წამყვანი თითოეული გადაცემის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ ისინი არა მხოლოდ წამყვანები, არამედ „მხარეები“ არიან: *„თქვენ უყურებთ ცეცხლის ხაზს, გადაცემას, რომელშიც საწინააღმდეგო პოზიციებზე დგანან არა მარტო სტუმრები, არამედ წამყვანებიც“*. ერთ-ერთ გადაცემაში კი სტუმრის მიერ გამოთქმულ საყვედურზე, რომ წამყვანი თავის პოზიციას ღიად აფიქსირებდა, ვაკა გორგილაძემ მას უპასუხა: *„თქვენ იცით ამ გადაცემის ფორმატი, მე მხარე ვარ, მარტო წამყვანი არ ვარ.“* 20 სექტემბერს გადაცემა ასე დაიწყო: *„მე ვარ მაგდა ანიკაშვილი - ლიბერალი... მე ვარ ვაკა გორგილაძე - კონსერვატორი“*.

გადაცემის ასეთი ფორმატიდან გამომდინარე გადაცემა საკმაოდ არამშვიდ გარემოში მიმდინარეობს. წამყვანები თავისი პოზიციებიდან გამომდინარე ეკამათებიან და ედავებიან ზოგიერთ სტუმარს, ზოგს კი ნაკლებად მწვავე კითხვებს უსვამენ. ასევე არ ერიდებიან საკუთარი მოსაზრებების და პოზიციის ღიად დაფიქსირებას. თუმცა, ხშირად მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები არ ეყრდნობა რაიმე წყაროს. შესაბამისად, მაყურებელს მიეწოდება ინფორმაცია, რომელიც არ არის ფაქტებით გამყარებული. იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანები კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულები და მათ მიერ გაჟღერებული ფაქტები არ იყო სწორი და სტუმრები უსწორებდნენ მათ.

11 სექტემბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში მაესტროზე „ცეცხლის ხაზის“ ათი გადაცემა გავიდა. ამ გადაცემებში განიხილეს შემდეგი თემები: ფონდ „იავნანას“ გარშემო აგორებული სკანდალი, ხდება თუ არა ეკლესიის მიზანმიმართული დისკრედიტაცია წინასაარჩევნო პერიოდში, სამართლიანია თუ არა საარჩევნო გარემო, მერობის კანდიდატების

ეკოლოგიური დაპირებები, რუსეთის მიმართ ხელისუფლების რიტორიკა, ფილმ „მეოთხედი საუკუნის“ განხილვა, რომელ კანდიდატს აქვს განათლებისა და კულტურის უკეთესი პროგრამა და ეკონომიკური განვითარების განხილვა წინასაარჩევნო კონტექსტში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი გადაცემებიდან გარემოს დაცვის საკითხზე იყვნენ მოწვეული მხოლოდ ქალი რესპონდენტები. კანდიდატების განათლებისა და კულტურის პროგრამასთან დაკავშირებით სასაუბროდ სტუდიაში მხოლოდ ქალი სტუმრები ჰყავდათ, რაც ამყარებს სტერეოტიპს, რომ კულტურა და განათლება ქალისთვის შესაფერისი სფეროებია. ასევე, გადაცემაში რუსეთთან დაკავშირებით იყო მიწვეული ნინო ბურჯანაძე, ფილმ „მეოთხედი საუკუნის“ განხილვაზეც მოწვეული იყო ერთი ქალი რესპონდენტი, როგორც ფილმის თანაავტორი, დანარჩენ ყველა გადაცემაში სტუმრები მხოლოდ კაცები იყვნენ.

რეგიონული არხები

გენდერული თანასწორობის გაშუქების მონიტორინგი სამ რეგიონულ არხს აკვირდება, ამ არხებზე გასულ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს და პოლიტიკურ თოქშოუებს. ეს არხებია: „თრიალეთი“ (შიდა ქართლი), „გურჯაანი“ (კახეთი) და „ოდიში“ (სამეგრელო).

თრიალეთი

შიდა ქართლის რეგიონულ ტელევიზიაზე „თრიალეთი“ საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მონიტორინგის პერიოდში (11 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე) მომზადდა რამდენიმე სიუჟეტი პარტიების საარჩევნო სიებში გენდერული დისბალანსის შესახებ. სიუჟეტებში ხაზი გაესვა ხაშურისა და კასპის ოლქებში ქალი კანდიდატების რაოდენობას - ზოგ შემთხვევაში სიმცირეს, ზოგ შემთხვევაში კაცი და ქალი კანდიდატების თანაბარ რაოდენობას. ერთ-ერთ სიუჟეტში ნახსენები იყო მთავრობის გენდერული თანასწორობის პოლიტიკა, რომლის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, იზრუნოს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის მისაღწევად. ასეთი თემების წამოწევა, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში მისასალმებელია.

„თრიალეთის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში რამდენიმე თემა იყო, სადაც ქალების მოსაზრებები ნაკლებად ჩანდა: სიუჟეტებში კანონდარღვევებზე, საგარეო პოლიტიკაზე, ინფრასტრუქტურაზე, ტრანსპორტზე ქალი რესპონდენტები ნაკლებად ან საერთოდ არ ჩანდნენ. მაგალითად, სიუჟეტი გორში პარკირების პრობლემაზე, რომელშიც ექვსი კაცი რესპონდენტი იყო და არცერთი ქალი. სიუჟეტი ავტომობილების ტექდათვალიერებაზე - შვიდი კაცი რესპონდენტი და არცერთი ქალი. სიუჟეტი საწვავის ფასის მომატებაზე - ხუთი რესპონდენტი კაცი და არცერთი ქალი. ამ სიუჟეტებში მხოლოდ კაცი მძღოლები იყვნენ ნაჩვენები. სამაგიეროდ, 19 სექტემბრის სიუჟეტში, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევებს ეხებოდა, ნაჩვენები იყო ერთი მძღოლი ქალი. ამავე სიუჟეტში მოცემული იყო მძღოლი კაცის სტერეოტიპული გამონათქვამი: „მეტწილად გოგოებისგან ხდება ეს ავარიებიცა და ეს 100-

ქულიანებიც. თუ ვიღაცა 100-ქულიანს იღებს, გოგოების მხრიდან, რომ გულაობენ და დადიან. ჩემმა ბიჭმა ბავშვობიდან იცის ტარება და ძლივას აიღო პრავა, ხოლო ჩემი გოგო წავიდა და მეორე დღეს მოვიდა - აგერ, მამა, პრავა ავიღეო“. სიუჟეტი არ აბათილებს მძლიერი კაცის მიერ გამოთქმულ დაუსაბუთებელ სექსისტურ განცხადებას და ამ სტერეოტიპის ტირაჟირებას ახდენს.

12 ოქტომბრის სიუჟეტში „ხალხის ხმა ხაშურიდან“ ჟურნალისტი ხალხს ეკითხება აზრს ხაშურში არსებული სოციალური ფონის შესახებ. ექვსი რესპონდენტია და ექვსივე კაცი. სიუჟეტში „ხალხის ხმა ხაშურიდან“ ქალების მოსაზრებები და ხმა არ ისმის. თუმცა, იმავე დღეს გავიდა კიდევ ერთი სიუჟეტი ხაშურზე „ხაშურელები ოცნებების ასრულების მოლოდინში“, სადაც ოთხი ქალი რესპონდენტი იყო, ხაშურში მცხოვრები და ორი კაცი, პოლიტიკური პარტიისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

მსგავსი ტიპის სიუჟეტში გორის შესახებ „რა უნდა შეიცვალოს ქალაქში - რას ფიქრობენ გორელები“ გენდერული ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცულია, წარმოდგენილი ცხრა რესპონდენტიდან ხუთი კაცია და ოთხი ქალი. გორში რამდენიმე ადგილის სახელის ცვლილებასთან სიუჟეტში ხუთი ქალი რესპონდენტი იყო, ძირითადად გორში მცხოვრებნი (ამ სიუჟეტში გორში მცხოვრები ოთხი ქალი და ერთი კაცი იყო ნაჩვენები) და გორის საკრებულოს კომისიის წევრი ქალი.

ქალი რესპონდენტების სიმრავლე იგრძნობოდა სიუჟეტებში დენისა და წყლის ტარიფების შესახებ, ვალუტის კურსის ზრდის შესახებ, ინტერნეტზე ბავშვების დამოკიდებულების შესახებ. 22 სექტემბერს გასულ სიუჟეტში შვიდი ქალი რესპონდენტი იყო და არცერთი კაცი. სიუჟეტებში ბაღებზე და სკოლებზე ან სკოლის მოსწავლეებზე ნაკლებად არიან წარმოდგენილი კაცები, რესპონდენტებს ქალები წარმოადგენენ, რაც საერთო ჯამში ხაზს უსვამს საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპს, რომ ბავშვების აღზრდა „ქალის საქმეა“.

წინასაარჩევნო მონიტორინგის რაოდენობრივ მონაცემებს თუ შევხედავთ, თრიალეთის სალამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, საარჩევნო და პოლიტიკური სუბიექტებიდან ქალების გაშუქების წილი მხოლოდ 1%-ია და ამ გაშუქების უდიდესი ნაწილი (87%) ქალთა პირდაპირი საუბარია.¹²

თრიალეთზე გადის ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუ: „განსხვავებული აზრი“ და „მოვლენების ცენტრი“. 11 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში თოქშოუზე „განსხვავებული აზრი“ გადაცემებში განიხილეს შემდეგი თემები: წინასაარჩევნო გარემო, კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია, ქართული ოცნების წევრების შენების მოძრაობაში გადასვლა, რამდენად თანაბარ პირობებში არიან საარჩევნო სუბიექტები, ხაშურის მერობის

¹² მონაცემები აღებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგებიდან, რომელიც ითვლის სალამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნებთან დაკავშირებული სუბიექტების (პოლიტიკური პარტიები და სუბიექტები, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა) გაშუქების დროს. მონაცემები მოიცავს 11 სექტემბრიდან 10 ნოემბრამდე პერიოდს.

კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებისა და გეგმების გაცნობა, არჩევნების შედეგების სანდოობის საკითხი და არჩევნების მეორე ტური. აღნიშნულ შვიდ გადაცემაში სტუმრად იყო 53 კაცი და 22 ქალი. კაცი სტუმრების უმრავლესობა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრი და/ან მერობისა თუ მაჟორიტარობის კანდიდატი იყო. ქალი სტუმრები სხვადასხვა პარტიას წარმოადგენდნენ, ერთი მათგანი ხაშურის თემის მერობის კანდიდატი იყო.

ქალთა საკითხის წამოწევის კუთხით დადებითი მაგალითია 13 ოქტომბრის გადაცემა, რომლის სტუმრებიც ხაშურის მერობის კანდიდატები იყვნენ. ჟურნალისტმა დასვა შემდეგი კითხვა: *„იცნობთ თუ არა მუნიციპალიტეტის მცხოვრები ამომრჩევლების სხვადასხვა სოციალური ჯგუფის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, დევნილების, სოფლად და ქალაქად მცხოვრები ქალების პრობლემებს და ასახული გაქვთ თუ არა ეს პრობლემები თქვენს პროგრამაში?“* მსგავსი დისკურსის კითხვების დასმა მისასალმებელია და მაყურებელს ეხმარება გააცნობიეროს, რომ არსებობენ ჯგუფები, რომლებსაც აქვთ სპეციალური საჭიროებები. ჟურნალისტმაც მგრძნობელობა გამოავლინა აღნიშნული თემატიკის მიმართ. მით უმეტეს, რომ ცალკე ჯგუფებად გამოყო ქალაქსა და სოფელში მცხოვრები ქალები, რომლებსაც საცხოვრებელი პირობების სხვაობიდან გამომდინარე ძირითადად სხვადასხვა საჭიროებები აქვთ და მათ პრობლემებს ვერ გავაერთიანებთ უბრალოდ „ქალთა საჭიროებებში“, რადგან ასეთი ტერმინები ხშირად ბრმა სხვადასხვა ქვეჯგუფის საჭიროებების მიმართ.

10 ნოემბრის გადაცემის ერთ-ერთი სტუმარი რამდენჯერმე საუბრობდა გენდერზე ხაზგასმით, *„ილია რომ ყოფილიყო სტუდიაში, ვეტყვოდი, როგორც ქალი (ერთ-ერთ კაცს) დავუსვამდი კითხვას, კაცი რომ ვყოფილიყავი, ალბათ, არ ჩავერეოდი“*; *„ქალი ვარ და მაგიტომ გესაუბრები, კაცო რომ ვიყო, ნაღდად არ გეტყვოდი“*. ერთ შემთხვევაში წამყვანს რეაქცია ჰქონდა და უთხრა სტუმარს, რომ გენდერული ნიშნის შემოტანა ამ საკითხში უადგილო იყო. მეორე შემთხვევაზე რეაქცია უკვე აღარ ჰქონია.

თოქმოუში „მოვლენების ცენტრი“ მონიტორინგის პერიოდში შვიდი გადაცემა გავიდა. გადაცემის თემები ეხებოდა ილიას უნივერსიტეტიდან გაშვებულ ლექტორებს, სტუდენტების მიერ გამართულ აქციებს, საკონსტიტუციო ცვლილებებს, არჩევნებსა და მის თავისებურებებს, არჩევნების შეფასებას, დაკავებისას გარდაცვლილი კაცის საქმეს და გურამ კაშიას მიერ ცისარტყელა სამკლავურის გაკეთებას. ამ თემებზე სულ მოწვეული იყო 13 სტუმარი, აქედან 8 კაცი და 6 ქალი. გადაცემაში, რომელიც ეხებოდა საკონსტიტუციო ცვლილებებს, სტუმრად იყო ორი ადვოკატი - ერთი ქალი და ერთი კაცი ანუ დაცული იყო გენდერული ბალანსი. რაც შეეხება მეორე გადაცემას, სტუმრად იყო 2 კაცი, ილიაუნის ყოფილი ლექტორი და აქციების ორგანიზატორი სტუდენტი. მესამე გადაცემას, რომელიც შეეხებოდა არჩევნებსა და მის თავისებურებებს სტუმრად მყოფი 4 ქალიდან 3 ემიგრანტი იყო, ხოლო ერთი გორის მაცხოვრებელი.

გურჯაანი

11 სექტემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით „გურჯაანის“ ეთერში გასულ მთავარ საინფორმაციო გადაცემებში, ისევე როგორც სხვა არხებზე, კაცი რესპონდენტები ჭარბობენ. უფრო მეტი იყო ისეთი სიუჟეტი, სადაც რესპონდენტები მხოლოდ კაცები არიან, ვიდრე სიუჟეტები, სადაც მხოლოდ ქალები აკეთებენ კომენტარს.

„გურჯაანის“ სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტად თვალში საცემია გაშუქებული თემების მიხედვით გენდერული მიკერძოება. მაგალითად, სიუჟეტში ბენზინის გაძვირებაზე ქუჩაში გამოკითხული იყვნენ მხოლოდ კაცი მძღოლები, ხოლო საყოველთაო დაზღვევის შესახებ გაკეთებულ სიუჟეტში მხოლოდ ქალები. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, კულტურისა და განათლების თემებზე ყოველთვის ჭარბობენ ქალი რესპონდენტები. ამავდროულად, ავტომანქანებთან დაკავშირებულ თემებზე, სოფლის მეურნეობაზე და კანონდარღვევებზე - კაცები. ასევე, 31 ოქტომბერს, სამანქანო გზებზე ე.წ. ჭკვიანი კამერების ამუშავებასთან დაკავშირებით გასულ სიუჟეტში გამოკითხული 5 მოქალაქიდან ყველა კაცი იყო. იგივე სიუჟეტი განმეორდა 4 ნოემბერსაც. მსგავსი სიუჟეტი გავიდა 11 ნოემბერს ქუჩაში რადარების დაყენების შესახებ და ქუჩაში ასევე მხოლოდ კაცები იყვნენ გამოკითხული.

„გურჯაანის“ საინფორმაციო გამოშვებებში 11 სექტემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით რამდენიმე სიუჟეტი მომზადდა საპენსიო ასაკის თემაზე. რა უნდა იყოს საპენსიო ასაკი და უნდა განსხვავდებოდეს თუ არა ქალისა და კაცის საპენსიო ასაკები? აღსანიშნავია, რომ ამ სიუჟეტებში ქალი და კაცი რესპონდენტები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი.

აღსანიშნავია 2 ოქტომბერს გასული სიუჟეტი „ქალები პოლიტიკაში“. სიუჟეტში ჟურნალისტები ხაზს უსვამენ იმას, რომ ქალები ძირითადად პარტიების სიებში და სოფლებში დეპუტატობის კანდიდატებად არიან დარეგისტრირებულები, ასრულებენ შავ სამუშაოს და დაბალ საფეხურებზე არიან დასაქმებულები, ხოლო მერობის კანდიდატებად კაცები არიან წარდგენილები. გამოკითხულია 3 მოქალაქე (ქალებიც და კაცებიც). ამათგან ერთი ამბობს, რომ ქალები უფრო ჭკვიანები არიან და ნახევარი ქალი უნდა იყოს პოლიტიკაში; მეორე ამბობს, რომ ქალი უფრო მეტს ნიშნავს ოჯახისთვის და არ უნდა იყოს პოლიტიკაში; მესამე კი საუბრობს, რომ მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია გონიერი პოლიტიკოსი იყოს.

ასევე აღსანიშნავია 21 სექტემბერს გასული სიუჟეტი გახშირებულ ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებით. მიუხედავად რესპონდენტების გენდერული ბალანსის დაცვისა, აღსანიშნავია ჟურნალისტის ფრაზა: „ავგისტოს-სექტემბრის სტატისტიკას თუ გადავხედავთ კახეთში, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა გახშირდა. მაგალითად, 2 დღის წინ, საგარეჯოში ერთი ადამიანი დაიღუპა და 27 წლის ახალგაზრდა გოგონა მძიმედ დაშავდა.“ მსგავს შემთხვევებში სქესის აღნიშვნას რაიმე კონკრეტული მნიშვნელობა არ აქვს, ამიტომაც ან ორივე შემთხვევაში უნდა აღინიშნოს სქესი. ითქვას, რომ დაიღუპა ამ სქესის ადამიანი და დაშავდა ამ სქესის, ან საერთოდ არ აღინიშნოს.

ჟურნალისტების გარდა, ხშირია რესპონდენტების მხრიდან გენდერული სტერეოტიპებით გაჯერებული გამონათქვამები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მსგავსი შემთხვევები თავად ქალი პოლიტიკოსების/კანდიდატების მხრიდან ისმის. 9 ოქტომბერს სოფელ ვეჯინში ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ელმირა ბეციაშვილი ამბობს: „ვარ მიზანდასახული და ვარ ქალი. ამავდროულად დედა, რომელსაც მაქვს დედობრივი ინსტინქტი გაძლიერებული და მეტად შემიძლია გავაკეთო ყველაფერი სხვა მამაკაცებთან შედარებით.“

მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მომზადდა სიუჟეტები არჩევნებში მონაწილე ქალ კანდიდატებზე. 12 ოქტომბერს გასული სიუჟეტი სწორედ ამ თემას დაეთმო. ჟურნალისტი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ქალი კანდიდატების არსებობს საარჩევნო სიაში და სფეროებსაც ასახელებს, რომელშიც, გამარჯვების შემთხვევაში, ქალი კანდიდატები იმუშავებენ: „გურჯაანის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, აგრარული ბაზრის კეთილმოწყობა და ტურიზმის განვითარება. ლეიბორისტული პარტიიდან გურჯაანის მერობის ქალი კანდიდატი სწორედ ამ პრიორიტეტული საკითხების მოგვარებას აპირებს.“ კანდიდატი კი ამბობს: „მე, როგორც ქალი მერობის კანდიდატი პირობას ვდებ, რომ სამართლიანად, ერთგულად ვემსახურები გურჯაანის რაიონს.“ ეს სიუჟეტი 14 ოქტომბრის შაბათის გადაცემაშიც გამეორდა. 16 ოქტომბერს გურჯაანის ტელევიზიის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი გენდერული თანასწორობის კამპანიაზე „თანასწორობა გვჭირდება“. სიუჟეტი გვაწვდის ინფორმაციას, რომ კამპანიის აქტივობაზე, კამპანიის მიზანია, საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახოს რამდენად ცოტა ქალია ჩართული პოლიტიკაში, რა ბარიერები ხვდებათ კარიერული წინსვლის მსურველ ქალებს და საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას შეუწყოს ხელი. სიუჟეტი არ იყო სტერეოტიპული, დაცული იყო რესპონდენტების გენდერული ბალანსი, მაგალითად, მოქალაქეების გამოკითხვის ნაწილში ქალი და კაცი რესპონდენტი ჰყავდათ. სიუჟეტის ავტორები არ იყენებდნენ სტერეოტიპულ ენას. მთლიანობაში ინფორმაციული სიუჟეტი გენდერული თანასწორობის საკითხზე.

გურჯაანის ტელევიზიაზე ისევე, როგორც სხვა არხებზე, მომზადდა სიუჟეტი ოჯახში ძალადობასა და გენდერულ პრობლემებზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 30 ოქტომბერს გასული ეს სიუჟეტი, რომელიც შინაარსობრივად შეიძლება იყოს ყოფილიყო ოჯახში გენდერული ძალადობის გაშუქების კარგი მაგალითი, გაჯერებული იყო ერთ-ერთი მხატვრული ფილმიდან ამოღებული ძალადობის შემცველი კადრებით. სიუჟეტში მონაცვლეობით იყო ჟურნალისტის, რესპონდენტების კომენტარები, რომლებიც საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე საუბრობენ და ძალადობის შემცველი კადრები. კადრებში ნაჩვენებია იყო კაცი როგორ ურტყამს ქალს, რომელიც ძირს ეცემა და კაცი ძირს დაცემულ ქალს წიხლებს ურტყამს, კაცი მაცივრიდან გამოღებულ რძეს თავზე ასხამს ქალს. აღსანიშნავია, რომ ზოგადად, სიუჟეტის იდეა კარგი იყო. საუბარი იყო საქართველოში დღეს არსებულ პრობლემაზე, რომ ქალებზე ძალადობა ხშირია, ისინი ხშირად ხმას არ იღებენ ამაზე და ერთგვარი მოწოდება იყო, რომ ასეთ დროს უნდა მიმართონ სამართალდამცავებს. თუმცა, უცხოური მხატვრული ფილმიდან მოყვანილი ძალადობის კადრები სიუჟეტს მეტად ამძიმებდა და ქართული რეალობას აცილებდა, ერთგვარად არასერიოზულ შთაბეჭდილებასაც ქმნიდა.

წინასაარჩევნო მონიტორინგის რაოდენობრივ მონაცემებს თუ შევხედავთ, გურჯაანის ტელევიზიის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში საარჩევნო და პოლიტიკური სუბიექტებიდან ქალების გაშუქების წილი 5%-ია და ამ გაშუქების უმეტესობა (80%) ქალების პირდაპირ საუბარს წარმოადგენს.¹³

მონიტორინგის პერიოდში გურჯაანის ტელევიზიაზე პოლიტიკური თოქშოუ არ გასულა.

ოდში

„ოდში“ სამეგრელოს რეგიონის ადგილობრივი ტელევიზიაა, რომელსაც სადამოს მოკლე საინფორმაციო გამოშვება აქვს. გადაცემა ახალ ამბებზეა დამოკიდებული და ზოგ დღეს შეიძლება ამბების არქონის გამო საერთოდ არ გავიდეს. მონიტორინგის პერიოდში (11 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე) „ოდში“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ გასულა სიუჟეტები ქალთა თანასწორობის, გენდერული პოლიტიკის ან არჩევნებში მონაწილე ქალი პოლიტიკოსებისა და კანდიდატების შესახებ. არჩევნებზე მომზადდა რამდენიმე სიუჟეტი, რაც ძირითადად პარტიებისა და კანდიდატების წინასაარჩევნო აქტივობებს ეხებოდა. წარმოდგენილი იყვნენ მერობის კანდიდატები და პარტიების წარმომადგენლები. ზუგდიდს მერობის ქალი კანდიდატი ჰყავს და სიუჟეტებში არჩევნების თემაზე ისიც ჩანდა და პარტიების წარმომადგენელი სხვა ქალებიც.

„ოდში“ საინფორმაციოში ძნელია თემების გენდერულ სეგრეგაციაზე საუბარი, რადგან თემების დიდი მრავალფეროვნება წარმოდგენილი არ არის. თუმცა, ქალების გარეშე მომზადებული სიუჟეტები ძირითადად პოლიტიკას და ეკონომიკას ეხებოდა, რამდენიმე ქალი რესპონდენტის მქონე სიუჟეტები კი - განათლებას. სიუჟეტებს ხშირად ჰქონდა წყაროთა მრავალფეროვნების პრობლემა და ჟურნალისტის ტექსტებიც არ იყო გამართული.

დადებითაც შეიძლება, აღინიშნოს 10 ნოემბრის გადაცემაში გასული სიუჟეტი საიას მიერ ერთწლიანი მუშაობის წარდგენაზე ზუგდიდში, სადაც საიას წარმომადგენლმა სამუშაოს შეჯამებისას გენდერულ კომპონენტს გაუსვა ხაზი.

წინასაარჩევნო მონიტორინგის რაოდენობრივი მონაცემებით, საარჩევნო და პოლიტიკური სუბიექტებიდან ქალების გაშუქების წილი 4% და მისი უმეტესობა (81%) ქალი რესპონდენტების პირდაპირ საუბარს წარმოადგენს.¹⁴

¹³ მონაცემები აღებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგებიდან, რომელიც ითვლის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნებთან დაკავშირებული სუბიექტების (პოლიტიკური პარტიები და სუბიექტები, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა) გაშუქების დროს. გურჯაანის ტელევიზიის მონაცემები 12 სექტემბრიდან 11 ნოემბრამდე პერიოდს მოიცავს.

¹⁴ მონაცემები აღებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგებიდან, რომელიც ითვლის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნებთან დაკავშირებული სუბიექტების (პოლიტიკური პარტიები და სუბიექტები, ცენტრალური და

ტელეკომპანია „ოდიშე“ 15 და 17 ოქტომბერს გავიდა წინასაარჩევნო ტელედებატები „არჩევნები 2017“, რომლის სტუმრებიც იყვნენ ზუგდიდის მერობისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები. ზუგდიდის მერობის კანდიდატებს შეკითხვებს წამყვანთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სოციალური ქსელის მომხმარებლები უსვამდნენ. აღნიშნულ ორ გადაცემაში მოწვეული 16 სტუმრიდან 11 კაცი იყო და 5 ქალი, მათ შორის მხოლოდ ერთი მერობის კანდიდატი და ერთი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ხოლო დანარჩენი სამიდან ორი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი იყო და ერთი ჟურნალისტი ქალი.

მნიშვნელოვანია, თავიდანვე აღვნიშნოთ, როგორ რეაგირებს წამყვანი სექსისტურ კომენტარებზე. 17 ოქტომბრის გადაცემაში, როდესაც სტუდიაში მოწვეული იყვნენ ზუგდიდის მერობის კანდიდატები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუმრები აკეთებდნენ გენდერული სტერეოტიპების გამამყარებელ და ჰომოფობიურ განცხადებებს. ქალთა თანასწორობის საკითხი წამოიწია მოწვეული სტუმრის, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო აქტივობისა და თანასწორობის ცენტრის“ წარმომადგენლის ციციწო შენგელიას კითხვის შემდეგ, რომელიც გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტის შესახებ კანდიდატების ხედვას შეეხებოდა.

ზუგდიდის მერობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა დომენტი სიჭინავამ ამაზე საუბრისას აღნიშნა, რომ სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიც არსებობს, ვიდრე გენდერული თანასწორობაა: *„ჩვენ უნდა ვმართოთ ყველაფერი ის, რაც აქ არის ჩვენს მუნიციპალიტეტში. თუმცა, დღეს ზუგდიდი 10-14 მილიონს კარგავს იმ შენობებიდან, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, ეს თანხები გადის თბილისში და ამ პრობლემების აღმოფხვრის შემდეგ ვილაპარაკოთ გენდერულ თანასწორობაზე“*. აღნიშნული კომენტარი გულისხმობს, რომ ჯერ სხვა უფრო მნიშვნელოვანი და ფასეული პრობლემები უნდა მოგვარდეს საზოგადოებაში, ვიდრე ქალთა პრობლემები და მათი ემანსიპაციის საკითხია. ამ და სხვა მსგავს კომენტარებს სტუმრების მხრიდან წამყვანის რეაგირება არ მოჰყოლია.

15 ოქტომბრის გადაცემაშიც, სადაც წინასაარჩევნო პროგრამებს განიხილავდნენ, ერთმა სტუმარმა სტერეოტიპული ენით მოიხსენია ქალები: *„ის სოციალური ფონი, რაც არსებობს ჩვენთან რაიონში, ეს ფონი უბრალოდ ხელს უშლის ამ ადამიანების, ქალბატონების, სუსტი სქესის წარმომადგენლების უფრო მეტ აქტიურობას“*. წამყვანს რეაგირება არ მოუხდენია.

ადგილობრივი მთავრობა) გაშუქების დროს. რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს 13 სექტემბრიდან 3 ნოემბრამდე პერიოდს.

დასკვნა და რეკომენდაციები

11 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში შერჩეულ სატელევიზიო არხებზე გენდერული თანასწორობის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი მიგნება:

სატელევიზიო არხების სადამოს მთავარ **საინფორმაციო გამოშვებებში და პოლიტიკურ თოქშოუებში შეინიშნება თემების სეგრეგაცია გენდერული ნიშნით**. არის თემები, რომელთა გაშუქებისასაც უმეტესად ქალი ან უმეტესად კაცი რესპონდენტები/სტუმრები არიან წარმოდგენილნი და ეს აძლიერებს თემის რომელიმე გენდერთან ასოცირების შთაბეჭდილებას. მაგალითად, განათლება (სკოლები, ბალები), ჯანდაცვა, გარემოს დაცვა - ამ თემების გაშუქებისას უმეტესად ქალი რესპონდენტები არიან წარმოდგენილნი. მეორეს მხრივ, სამხედრო თემაზე, საგარეო პოლიტიკაზე, ტრანსპორტსა და ინფრასტრუქტურაზე, სტიქიურ უბედურებებზე, სპორტზე საუბრისას კაცი რესპონდენტები ჭარბობენ.

კიდევ ერთი თემა, რომელთან დაკავშირებითაც ქალები ნაკლებად არიან გაშუქებულნი, პოლიტიკაა. რაოდენობრივი მონაცემები, რომელიც ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ სატელევიზიო არხების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგის პროექტის ფარგლებში შეაგროვა, აჩვენებს, რომ **საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქებული პოლიტიკური სუბიექტებიდან ქალების წილი 10 პროცენტსაც კი არ შეადგენს**. ასევე მცირეა პოლიტიკურ თოქშოუებში მონაწილე ქალების რაოდენობა. ეს განსაკუთრებით ყურადსაღებია წინასაარჩევნო პერიოდში და იმის ფონზე, რომ პოლიტიკურ თოქშოუებში თითქმის არ განიხილება პოლიტიკაში გენდერული უთანასწორობის საკითხი.

თემების გენდერული დაყოფის გარდა, **ხშირია ისეთი გაშუქება, რაც ამყარებს ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს**. შედარებით იშვიათად გვხვდება სტერეოტიპების მსხვრევის ხელშემწყობი გაშუქების შემთხვევები. ეს შეიძლება, იყოს ქალის ან კაცის წარმოდგენა ისეთ რანგში, რაც ამყარებს ან ამსხვრევს სტერეოტიპებს საზოგადოებაში ქალისა და კაცის როლის შესახებ.

სტერეოტიპების გამყარებას ხელს უწყობს ისეთი ფრაზები და ტერმინები, რაც არათანასწორად წარმოაჩენს ქალებს და კაცებს. მაგალითად, ქალების მოხსენიებას „ქალბატონოთი“ არა მათთვის მიმართვის დროს, არამედ მათზე საუბრის დროს. ასევე ქალების აღსანიშნავად ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორცაა „სუსტი სქესის წარმომადგენლები“, „მშვენიერი სქესი“. ამავდროულად კაცების მოხსენიებას „ძლიერ სქესად“. ასეთი ფრაზების/ტერმინების გამოყენება ხშირი არ არის, განსაკუთრებით იშვიათია საინფორმაციო გამოშვებებში. თოქშოუებშიც უმეტესად სტუმრების მხრიდან ფიქსირდება. ასეთ დროს მნიშვნელოვანია წამყვანის დროული რეაგირება გამოთქმულ არაკორექტულ შეფასებაზე, რაც ყოველთვის არ ხდება.

გენდერული თანასწორობის გაშუქების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით CRRC-საქართველომ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები მედიისთვის:

- საკითხების ისეთი გაშუქება, სადაც ქალი და მამაკაცი რესპონდენტები თანაბრად იქნებიან წარმოდგენილი და ამით იმ სტერეოტიპის დარღვევა, რომ ზოგი პროფესია/საკითხი კაცს ან ქალს უფრო მეტად შეეფერება;
 - მაგალითად, როცა სიუჟეტებში მათი რესპონდენტები მოქალაქეები არიან, შეეცადონ, დაიცვან გენდერული ბალანსი და აზრი ჰკითხონ როგორც ქალებს, ასევე კაცებს.
 - სიუჟეტებში შემდეგ თემებზე: ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა, ფასების ზრდა, განათლება (სკოლები, ბაღები), პოლიტიკა, პარლამენტი, წარმოდგინონ როგორც კაცი, ასევე ქალი რესპონდენტები.
- გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების უფრო ხშირი გაშუქება და წამოწევა თოქშოუებში;
 - ქართული რეალობიდან და მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, თემების გამოყოფა, რაც გენდერულ თანასწორობას უკავშირდება და მისი პროაქტიულად გაშუქება. მაგალითად, ოჯახში ძალადობა, ძალადობა არასრულწლოვნებზე, ნაადრევი ქორწინება, ქალების ნაკლებობა პოლიტიკაში და ა.შ.
- მეტი სიუჟეტის მომზადება, სადაც საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები დაიმსხვრევა; შესაბამისად, ნაკლები სიუჟეტი, რომელიც გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას უწყობს ხელს, მათ შორის წარმატებული ქალების, როგორც გამონაკლისების წარმოჩენა;
 - მაგალითად, ქალების წარმოდგენა ისეთ რანგში, რაც საქართველოში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს ქალის როლის შესახებ ეწინააღმდეგება - ქალი სამხედრო, ქალი მძღოლი, ქალი ტრანსპორტის ექსპერტი, ქალი მინისტრი, ქალი პოლიციელი და ა.შ.
 - პოლიტიკოსი ქალების წარმოდგენისას მათი განხილვა იგივე კრიტერიუმების მიხედვით, რაც პოლიტიკოსი კაცების შემთხვევაში გამოიყენება - გამოცდილება, განათლება, პროფესიონალიზმი და არა მხოლოდ დიასახლისობა, დედაობა ან გარეგნობა.
- ნებისმიერი სიუჟეტის მომზადებისას ჟურნალისტების მიერ გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის გააზრება;
 - მედია პროდუქტის მომზადებაში ჩართული ყველა მონაწილის მგრძობელობის გაზრდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე.
- ახალი ამბების სიუჟეტებში ისეთი ტერმინებისთვის თავის არიდება, რაც სტერეოტიპების გამყარებას უწყობს ხელს. თოქშოუებში ასეთი ტერმინების სტუმრების მხრიდან გაჟღერების დროს წამყვანის მხრიდან არაკორექტულ საუბარზე მითითება და/ან გამოთქმული პოზიციისგან გამიჯვნა.
 - მაგალითად, ქალების ხსენებისას შემდეგი ფრაზებისთვის თავის არიდება: ქალბატონი (არა მათთვის პირდაპირ მიმართვის შემთხვევაში), სუსტი სქესის წარმომადგენელი, მშვენიერი სქესის წარმომადგენელი; სქესის აღნიშვნა, როცა ის მნიშვნელოვან დამატებით ინფორმაციას არ იძლევა; ქალური და კაცური იარლიყების მინიჭება რომელიმე ქმედებისთვის ან პროფესიისთვის.

მედიისთვის შემუშავებული რეკომენდაციების გარდა, CRRC-საქართველოს რეკომენდაციას უწევს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ ჟურნალისტებთან და რედაქტორებთან მეტი მუშაობითა და ტრენინგებით მიაღწიონ იმას, რომ გენდერული თანასწორობის საკითხები სარედაქციო პოლიტიკის ნაწილი გახდეს და მედია პროდუქტების შექმნაში ჩართულ ყველა მონაწილეს აუმაღლდეს მგრძობელობა გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ.

დანართი 1: დაკვირვების ქვეშ მყოფი არხები და გადაცემები

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი
 - მოამბე 20:00
 - თვითმმართველობა 2017
2. აჭარის ტელევიზია
 - მთავარი 21:00
 - ფაქტორი
 - ახალი სივრცე
3. რუსთავი 2
 - კურიერი 21:00 (P.S.-ის ჩათვლით)
 - არჩევანი
 - განსხვავებული აქცენტები
4. იმედი
 - ქრონიკა 20:00 („იმედის კვირის“ ჩათვლით)
 - ამომრჩევლის პირისპირ
5. მაესტრო
 - მთავარი თემა 21:00
 - ცეცხლის ხაზი
6. თრიალეთი
 - ახალი ამბები 22:00 (კვირის შემაჯამებელი თოქშოუ შაბათის სტუდიის ჩათვლით)
 - განსხვავებული აზრი
 - მოვლენების ცენტრი
7. გურჯაანი
 - დღეს 22:00 (შაბათი „დღეს“ ჩათვლით)
8. ოდიში
 - დრო 22:00
 - არჩევნები 2017

დანართი 2: ტერმინების/ფრაზების ჩამონათვალი

ტერმინებისა და ფრაზების ჩამონათვალი, რასაც მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

სტერეოტიპული გაშუქება:

- სქესის აღნიშვნა, როდესაც ის მნიშვნელოვან დამატებით ინფორმაციას არ იძლევა;
- „ქალური“ და „კაცური“ იარლიყების მინიჭება რომელიმე ქმედებისთვის ან პროფესიისთვის;
- წარმატებული ქალის წარმოჩენა სუპერგმირად. მათი პროფესიული საქმიანობის შედარება ოჯახურ საქმიანობასთან.

ტერმინები და ფრაზები:

<u>არასწორია</u>	<u>სწორია</u>
ქალბატონი	ქალი
მანდილოსანი	ქალი
გათხოვება	დაქორწინება
გაბედნიერება	დაქორწინება
მშვენიერი სქესი, სუსტი სქესი	ქალი
ძლიერი სქესი	კაცი
ქალური ბედნიერება	ბედნიერება

სიტყვები, ფრაზები და კითხვები, რომლებიც ხელს უწყობენ სტერეოტიპების გამმაფრებას:

- ქალს არ შეშვენის
- ქალის საქმე არაა
- ქალი რომ იყო, სხვანაირად გესაუბრებოდი
- პატრონი (პატრონი არ გყავს? პატრონი რომ ყავდეს..)
- ემოციურობის დაბრალება (წიკვინი, ისტერიკის მოწყობა, წიწინი და ა.შ)
- კაცების საქმეა, კაცების საქმეში ჩარევა.

დანართი 3: ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის 2017 წლის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგის სუბიექტები

წინასაარჩევნო მონიტორინგის სუბიექტები არიან არჩევნებში მონაწილე და სხვა პოლიტიკური პარტიები და მათი წარმომადგენლები, არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელი კანდიდატები და საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება.

მონიტორინგის სუბიექტების ჩამონათვალი:

- პრეზიდენტი
- პრემიერ-მინისტრი
- პარლამენტის თავმჯდომარე
- დამოუკიდებელი დეპუტატები (პარლამენტის წევრები)
- არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელი კანდიდატები
- მთავრობა (მინისტრები, სამინისტროები, რწმუნებულები)
- ადგილობრივი მთავრობა (მერიები, თვითმმართველობები, გამგეობები)
- აჭარის მთავრობა
- ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- ევროპული საქართველო
- რესპუბლიკური პარტია
- კონსერვატიული პარტია
- ეროვნული ფორუმი
- სახელმწიფო ხალხისთვის
- გირჩი
- თავისუფალი დემოკრატები
- პატრიოტთა ალიანსი
- მემარცხენე ალიანსი
- მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს
- საქართველოს გზა
- ახალი მემარჯვენეები
- ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
- ლეიბორისტული პარტია
- სოციალ-დემოკრატები
- ქართული დასი

- ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა
- ევროპელი დემოკრატები
- მწვანეთა პარტია
- თეთრები
- ქართული პარტია
- ტრადიციონალისტთა კავშირი
- ხალხის პარტია
- ახალი საქართველო
- რეფორმატორები
- სოციალისტური საქართველო
- სახალხო ხელისუფლება
- მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის
- იმედი
- დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისთვის
- ცენტრისტები
- სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისათვის
- ჩვენი სამშობლო
- დევნილთა პარტია
- ერთიანი კომუნისტური პარტია
- ემსახურე საქართველოს
- ქართული იდეა
- მიხეილ სააკაშვილი
- ბიძინა ივანიშვილი
- შენების მოძრაობა
- პარტია თავისუფლება
- სრულიად საქართველოს ეროვნული მოძრაობა
- ალექსანდრე ელისაშვილი
- მერობის დამოუკიდებელი კანდიდატები
- საქართველოს ხსნის ეროვნული ფრონტი
- ახალი დემოკრატები
- პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა
- საქართველო ერთობისა და განვითარებისთვის
- ახალი ერთობა საქართველო
- ქრისტიან-კონსერვატიული პარტია
- საარჩევნო ბლოკი - კუკავა-ბურჯანაძე
- სახალხო-ხალხის ერთსულოვნებისთვის